რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 28 აპრილი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორი საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 34 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 34

ეროვნული

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

რედაქციისაგან.

ვთხოვთ ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, მუშათა კოოპერატივებს, კლუბებს და სხვ. მოგვაწოდონ თავიანთ სხდომების ოქმები, გამგეობის დადგენილებები და სხვა საყურადღებო მასალები გაზეთში მოსათავსებლათ.

სამშაბათს, 2 მაისს 1917 წ. საღამოს ექვს საათზე, არტისტიული საზოგადოების საზაფხულო შენობაში (მიხეილის ქუჩა) დანიშნულია თფილისის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის

მეორე რაიონის წევრთა საერთო კრება

(8, 9 და 10 უბნები და ტრამვაი), რომელზედაც დაშვებულ იქნებიან უკვე ჩაწერილი წევრები პარტიისა. ვთხოვთ ამხანაგებს იქონიონ თან საწევრო ბარათები ან კვიტანციები და კრებაზე დანიშნულ დროს გამოცხადდენ.

კავკასიის ოლქის საინტენდანტო მართველობა

იწვევს იმ პირთ, რომელთაც შეუძლიათ დამზადება თეთრეულისა ჯარის-კაცებისათვის პარტიობით არა ნაკლებ 25,000 წყვილი საცვლებისა, სახაზინო მასალისაგან (მიტკლისა და ნარმისაგან), მხოლოდ გასაწყობი უნდა დაურთოს მოიჯარადრემ თანახმად არსებული პირობებისა და აწერილობისა. ვისაც სურს აიღოს აღნიშნული იჯარა, უნდა წარმოადგინონ განცხადება საინტენდანტოს სამართველოში წერილობით ან დეპეშით ამა წლის 15 მაისამდე რომელშიაც უნდა იყოს აღნიშნული თუ რამდენი წყვილი საცვლის გაკეთებას კისრულობს, რა ვადასა და ფასში შეუძლია გაკეთება და აგრეთვე თავის სწორი მისამართი.

პირობების აწერილობის და ნიმუშების ნახვა შეიძლება ყოველ დღე სამუშაო საათების დროს საოლქო საინტენდანტოს სამართველოში, ნიკოლოზის ქუჩა № 51, ქალაქ გარეთ მცხოვრებ მოიჯარადრეთ შეუძლიათ მოითხოვონ პირობებისა და ნიმუშების გაგზავნა; ამისათვის საჭიროა მათ თავიანთი მისამართი გამოგზავნონ. 3—2

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი.

აპრილის 30 ს, 1917 წ., ახალი კლუბის შენობაში დანიშნულია ქართული თეატრის მსახიობთა ყრილობა

საპროფესიო კავშირის დასაარსებლად.

სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ მსახიობთ, რომელთაც ოდესმე უმსახურნიათ ან ეხლა მსახურებენ ქართულ თეატრში, ვთხოვთ ამ დღისათვის მიუცილებლათ ჩამობრძანდენ ქ. თბილისს. ყრილობა დაიწყება დილის 11 საათზე.

რჩეულნი: ანდრონიკაშვილი კ., დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალ.

კახეთის კავშირი წვრილი კრედიტის ამხანაგობებისა

ამით აცხადებს, რომ 30 აპრილს დილის 10 საათზე ქ. თელავში დანიშნულია

წლიური კრება კავშირისა.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი—კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისუფლშიევის,—ტრიპითა, დიდი სოლინოიდი სპეციალური მროება და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭაპების, სისხლ ნაკლეობის, უძილობის, ნევრალგიისთვის. ზერსემალის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

საპატიო ზავის მოლოდინში.

რუსეთის რევოლიუციამ მშვიდობიანობის აღდგენა დღეის წესრიგში წამოაყენა. ომის დასასრული ახლოა.

მეფობის დამხობას დიდათ შეუწყო ხელი მტრის გამარჯვებამ. პოლონეთ-ლიტვის დაკარგვით ტახტს ფეხქვეშ ნიადაგი საბოლოოთ გამოეცალა. მარა ომის გაგრძელება საფრთხეს რევოლიუციასაც უმზადებს. ან საპატიო ზავი და მით რევოლიუციის განმტკიცება, ან და დამარცხება და მით კონტრრევოლიუციის ამოძრავება—ასეთია რუსეთის მდგომარეობა.

ეს კარგათ გათვალისწინებული აქვს დემოკრატიას. ამიტომაც არის ის უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას მოითხოვს. დღემდის მას გადაჭრით მხოლოდ რუსეთის მუშათა კლასი ითხოვდა, რომლის გავლენით აიღეთვე გზას თუმცა მიკიბ-მოკიბვით დროებითი მთავრობაც დაადგა. ხოლო სხვა იმპერიალისტური სახელმწიფონი კვლავ ომის „სრულ გამარჯვებამდე“ გაგრძელებას ესარჩლებოდენ. სჩანს უკანასკნელ დროს ამ წრეებშიაც გამოფხიზლება დაიწყო.

ავსტრიის სოციალდემოკრატების მოთხოვნით ავსტრია-უნგრეთის მთავრობა შეუერთდა რუსეთის დეკლარაციას უანექსიო ზავის ჩამოგდების შესახებ. ავსტრიის იმპერიალისტებმა ფარხმალი დაყარეს. ეს აორკეცებს საერთაშორისო დემოკრატიის ძალღონეს და აძლიერებს მის აგიტაციას საპატიო ზავის სასარგებლოთ.

უკანასკნელი ცნობებით გერმანიის რეიხსტაგის სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ კანცლერს შეკითხვა წარუდგინა ომის შესახებ და გადაჭრით მოითხოვა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდება. გერმანიის იმპერიალისტთა და დემოკრატიის ბლოკი ირღვევა. მუშათა კლასი თავის ძმურ ხელს უწვდის სხვა ქვეყნის მუშებს და მათთან ერთათ იმპერიალისტური ომის დასალიკვიდებისაკენ მიილტვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ეძლევა სტოკჰოლმის საერთაშორისო სოციალდემოკრატიულ კონფერენციას, რომელიც ამ დღეებში გაიმართება. ომმა გასწყვიტა ინტერნაციონალური სოლიდარობის ძაფები. ის ახლა ხელს უწყობს ინტერნაციონალის გაძლიერებას.

იმპერიალიზმმა ასტეხა ომი, ხოლო მას დემოკრატია ამთავრებს. ბურჟუაზიამ აამოძრავა ჯადოქრული ძალები, რომელნიც ამჟამათ მას არსებობას ემუქრებიან.

საპატიო ზავი, რომელსაც ნიადაგს საერთაშორისო დემოკრატია უმზადებს, მთელი კაცობრიობის ხსნას მოასწავებს. ხანგრძლივი ომი კულტურას დაცემას უქადის და ქვეყანას ბარბაროსობისაკენ მიაქანებს. მარა ზავის დაჩქარებით ჩამოგდება განსაკუთრებით ხელსაყრელია რუსეთისთვის, ვინაიდან ომის გაგრძელება რევოლიუციას დიდ საფრთხეს უმზადებს. ომი ყოველგან აუტანელი შეიქნა. მარა ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას რუსეთის შესახებ. მეფის ბატონობამ ყველაფერი არივდარია, სასურსათო საქმე აწეწ-დაწეწა და მხედრობა დააუძლურა. რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას მოითხოვს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კონტრრევოლიუციონერთა ფართო გამოსვლის თავიდან აცდენა.

ავსტრიის მთავრობის დეკლარაციით და გერმანიის სოციალდემოკრატიის გამოსვლით საპატიო ზავს მკვიდრი საფუძველი ეყრება. ახლო მომავალში მას ნებით თუ უნებლიეთ სხვა მეომარი სახელმწიფონიც შეუერთდებიან.

ქაღალდის სამეფო.

(„ხლებ არმია“).

(დასასრული).

სურსათის საქმის მოწესრიგება, რასაკვირველია, შეიძლება; ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა სათავეში ჩაყენებულ იქნენ მცოდნე და გამოცდილი პირები. ბ-ნი დანილევსკი, რომელიც „ხლებ არმიას“ სათავეში დგას, ჩვენი ღრმა რწმენით ამ საქმისთვის არ არის გაჩენილი. მას ისევე ესმის თავის საქმე, როგორც ნიკოლოზ მეორეს სახელმწიფო საკითხები. მის ზურგს უკან სხვები განაგებენ და მოქმედებენ. ერთხელ სასოწარკვეთილების დროს ერთ მოსამსახურეს შევჩივლე, თუ ვერაფერს გავხდი უნდა დანილევსკისთან ვიჩივლო მეთქი. მან ასეთი რჩევა მომცა: რაც უფრო მაღლა ახვალ, უფრო დაიბნევით. თქვენ საქმეს ისევ ჩვენ უფრო მოუვლით, ვიდრე დანილევსკი. ეს სიტყვები ეხლა მენიშნება. ფაქტიურათ დანილევსკის საქმეს განაგებს მისი თანაშემწე ბ-ნი სვერჩკოვი. ამის წყალობით იქნა არჩეულ ბ-ნი დანილევსკი „ხლებარმიის“ გამგეთ და ის პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე. ეს ზნეობრივი პასუხისმგებლობა, მით უფრო მძიმეა მისთვის, რომ სვერჩკოვი პატარა კაცი არ არის. იგი მუშათა საბჭოს თავმჯდომარეა ეკატერინოდარში და ცნობილია, როგორც გარკვეული რწმენის ადამიანი. „ხლებ არმია“ თავის თავს საზოგადოებრივ ორგანიზაციათ სთვლის, ნამდვილათ კი იგი, ბიუროკრატიული დაწესებულებაა. საზოგადოების წარმომადგენლის თვითეულ გადადგმულ ნაბიჯს წინ ეღობება საშინელი გულგრილობა, „ხვალ მოდი“, ქაღალდი და კიდევ ქაღალდი... ამ დღეებში აქ ჩამოვიდენ თფილისიდან რწმუნებული ნიკო ელიავა და გ. დალაქიშვილი. მათ აუწყეს „ხლებ არმიის“ მესვეურებს თფილისის საშინელი კრიზისი და წინადადება მისცეს საჩქარო ზომები მიეღოთ თფილისში ფქვილის გასაგზავნათ. მაგრამ თქვენც არ მოგიკვდეთ, რომ მათ ყურებიც არ გაიბერტყეს. მაშინ ნიკო ელიავა დაემუქრა ბ-ნ დანილევსკის და კომპ., რომ თუ საჩქაროთ თფილისში ფქვილი არ იქნა გაგზავნილი, იგი იძულებული იქნება მიმართოს მუშების და ჯარისკაცთა საბჭოს და რევოლიუციონური გზით გადაჭრას საკითხი. მაშინ დანილევსკიმ და მისმა დამქაშებმა იკადრეს დათანხმებულიყვნენ და აღუთქვეს ელიავას რამდენიმე ვაგონი ფქვილი.

ვნახოთ, როგორ მალე შეასრულებენ თავის დაპირებას, თუმცა მე ეს ძლიან მეეჭვება, რადგანაც ბ-ნ დანილევსკის და მის თანაშემწეებს კვირაში თხუთმეტი პარასკევი აქვთ. ერთი სიტყვით ხლებარმიის საქმეები ძალზე აწეწილ-დაწეწილია. როგორც იტყვიან აქ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს. თუ ასე გაგრძელდა კიდევ საქმის მდგომარეობა კატასტროფამდის მივა. ნათქვამია ციხე შიგნიდან გატყდებაო. ხლებარმიის ციხეც შიგნიდან ტყდება. ხლებარმიის თითო-ოროლა მოსამსახურემ უკვე იგრძნო მისი უვარგისი მხარეები. ამას წინეთ ბ-მა ვოზნესენსკიმ გამოილაშქრა კუბანის კურიერის ფურცლებზე ხლებარმიის მესვეურების წინააღმდეგ და საჯაროდ მოითხოვა მთელი ორგანიზაციის რევიზია. „სასურსათო განყოფილება, სწერს ბ-ნი ვოზნესენსკი მთლად აშენებულია კანცელიარულ წერა-გადაწერის ნიადაგზედ. ჩვენ უფრო ქაღალდების დამზადებას ვუნდებოდით, ვიდრე საქმეს, რასაც დაამტკიცებენ ამიერ-კავკასიის წარმომადგენლები. ცოცხალი საქმე ჩვენ შორის არ ყოფილა და მგონი სწორეთ მისი ეშინოდა ჩვენ ხლ. ბარმიას“. აქ ისეთი სისწორით არის გადმოცემული სურათი, რომ მას ჩვენის მხრივ არაფერს დაუმატებთ. მოვითხოვთ მხოლოდ, რომ ეს სიტყვები საქმედ ქცეულიყოს და ხლებარმიის მთელ მოქმედებას მალე აეხადოს საიდუმლო ფარდა. საჭიროა ხლებარმიის რევიზია—ამას მოითხოვს დამშეულ ხალხის შეურაცხყოფილი სინიდისი. მანამდის კი უნდა დაუყონებლივ გადაყენებულ იქმნას ბ-ნი დანილევსკი და მის ადგილას მოწვეულ იქმნეს უფრო შესაფერი პირი. რომ დანილევსკი თავის ადგილას არ არის, ამში ყველა დარწმუნებულია.

ამას წინედ აქ მოხდა ყუბანის ოლქის კრება, რომელმაც ერთხმად დადგენილება გამოიტანა დანილევსკის დათხოვნის შესახებ. ასეთია ხალხის ხმა, იმედია მას ანგარიშს გაუწევს ადგილობრივი სასურსათო კომიტეტი, რომელმაც ბ-ნი დანილევსკი ხლებარმიის თავში წამოასკუპა. თუ არა და, მაშინ რევოლიუცია გასცემს მათ ყველას ღირსეულ პასუხს...

დ. ონიაშვილი.

ვ. გუნიას იუბილეს გამო.

ჩვენი მოცლილი ინტელიგენცია ვალერიან გუნიას იუბილეს უმართავს.

დღეს, როდესაც რუსეთის ცხოვრება ძირიანათ იქმნება და საძირკველი ეყრება მრავალ ერთა უმეტესობის მშრომელ მასის კეთილდღეობას, როდესაც უთვალავი საქმეა შინ თუ გარეთ საკეთებელი, ყველა ცოცხალი ელემენტებისაგან ტიტანიური შრომაა საჭირო ახალი საზოგადოებრივი ნორმების შესამუშავებლათ, აი ამ დიად ისტორიულ მომენტში მცონარე, მაგრამ მუდამ უსაქმური ჩვენი ნაციონალისტები ვალერიან გუნიას იუბილეს მოსაწყობათ წელებზე ფეხს იდგამენ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოწოდებებს გზავნიან.

ქართველმა დემოკრატიამ კარგათ იცის გუნიას მოღვაწეობა, დიდი ხანია დააფასა მან მისი შავი საქმიანობა. „ნიშადურსა“ და მისს რედაქტორს ვერ დაივიწყებს ქართველი პროლეტარიატი.

როდესაც სისხლით დაცლილმა მუშათა კლასმა დროებით წამოიჩოქა ბრძოლის ველზე და ყოველი ცოცხალი ძალა შეუბრალებლათ მიმოფანტა შავმა რეაქციამ, როდესაც ბარიკადებში ჩაჰქდეს თავისუფალი აზრი და გრძნობა, აი ამ დროს წელში გასწორდა ვალერ. გუნია და მთელი თავისი ძალღონით ეცადა ჩირქი მოეცხო განვლილი მოძრაობისათვის. მისი ჟურნალის გარშემო თავი მოიყარა მთელ საქართველოს ბნელმა ძალებმა: ხეობელმა, მონადირემ, უნიჭო კარიკატურისტებმა და ყველამ კარგათ იცით, თუ რა შხამი დაანთხია ამ ქვეწარმავალთა გროვამ.

და აი დღეს, ქართველი დემოკრატიის დღესასწაულის დროს, მისი დაუძინებელი მტერი, უნიჭო დრამების მთითხნელი და ჩვეულებრივი მსახიობი გუნია იუბილეს იხდის.

ჩვენს დემოკრატიას ამ იუბილესთან საქმე არა აქვს, იგი მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს. გუნიას საზოგადო მოღვაწეობა მან დიდი ხანია ღირსეულათ დააფასა და მას შესაფერი ადგილი მიუჩინა რეაქციონერთა ბუნაგში.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

სევასტოპოლი. 24 აპრილი. შავი ზღვის ფლოტის, გარნიზონისა და მუშათა დელეგატების ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) რუსეთისთვის საჭიროა მთლიანი გარანტია ყოველ სრუტეთა და გასავალთა; 2) საჭიროა გარანტია, რომ არც ერთ მტრის ფლოტს არ შეეძლოს შავ ზღვაში შემოსვლა. მთელი ქვეყნის დემოკრატიამ უწყის, რომ რუსეთისთვის საჭიროა ოკეანეში გასავალი, ამიტომ მან უნდა ხელშეკრულება დასდოს ბოსფორისა და დარდანელის თავისუფლებისთვის. ყრილობა უერთდება მუშათა და სალდათთა დელეგატების რეზოლიუციას ომის მიზნების შესახებ და მათთან ერთად აღიარებს უანექსიო და უკონტრიბუციო მშვიდობიანობას.

ნოვო-ნიკოლაევსკი. ქალაქის სახალხო კრებაზე არჩეულ იქნენ 67 სოც.-რევოლიუციონერი, 7 სოც.-დემოკრატი და ერთი ციმბირის სოც.-ფედერალისტი, 2 ვაჭარი, 1 რესპუბლიკანელი, 1 დემოკრატი, 2 მუსულმანთა წარმომადგენელი და ერთიც ებრაელთა. არჩევნებზე სამწუხარო შემთხვევები მოხდა: სოციალისტ-ფედერალისტების წარწერებს ჰგლეჯდენ და ჰხევდენ.

რკინის გზის მოსამსახურეთა მიტინგმა დაადგინა შეეპყრონ „თავისუფალი ციმბირის“ რედაქცია და სტამბა, რადგან მან დაბეჭდა წერილები, სადაც მოითხოვდენ მუშათა დეპუტატების წინამძღოლის და „ხმა ციმბირის“ რედაქტორის ფსევდონიმის გამოქვეყნებას. სოციალისტ-ფედერალისტმა ქურნოვკოვმა სიმშილი გამოაცხადა, როგორც პროტესტი ძალადობის ახალ რუსეთში.

ტაშკენტი. ბუხარიიდან დაბრუნებულმა კომისრებმა პრეობრაჟენსკიმ და ველტჩინმა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ მათი მოგზაურობის შედეგი ძლიან დასაკმაყოფილებელია. ემირს ღრმათ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს მანიფესტში გამოქვეყნებული თავისუფლებანი. იმედია, რომ ახალგაზდა ბუხარლებსა და ძველ ბუხარლების უთანხმოებანი მიიჩქმალებიან და დაუყონებლივ შეუერთდებიან ახალ მიმართულებას. სამწუხარო შემთხვევები გამოწვეული იყო იმით, რომ არ იყო წინდაწინვე მოლაპარაკება კონსერვატიულ და ლიბერალურ მიმართულებასთან, ამასთანავე სამარყანდის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი უხეში გამოსვლით ცუდი შედეგი მოიტანა.

პეტროგრადი. 25 აპრ. ოფიც. პეტროგრადის სამხედრო შტაბში მოვიდა ცნობა, რომ განაპირა ადგილებიდან მოდის შეიარაღებული ხალხი და ნევის პროსპექტზე უკვე დაწყებულია სროლა; ამბობდენ კიდეც რომ არიან დაჭრილნი და დახოცილნი, ამიტომ პეტროგრადის სამხედრო მთავარსარდალმა გასცა ბძანება, რომ გამოწვეულ იქნას რამდენიმე ნაწილი ჯარისა სასახლის მოედანზე. აღმასრულებელმა კომიტეტმა ტელეფონით შეატყობინა შტაბს, რომ მთავარსარდლის მიერ ჯარის გამოწვევა უფრო გაამწვავებს პირობებს; ამის შემდეგ მთავარსარდალმა მოსთხოვა აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარეს გაეგზავნა შტაბში დელეგატები მოსალაპარაკებლათ. როცა დელეგატებმა დაარწმუნეს მთავარსარდალი, რომ ყოველი ზომა იქნება მიღებული უბედურების თავიდან ასაცილებლად, მთავარსარდალმა თავისი ბძანება უკან წაიღო და ეს გადაწყვეტილება ტელეფონით შეატყობინა სადაც ჯერ იყო. ამ დროს ქუჩებზე გავრცელებულ იქმნა მუშათა და სალდათთა დეპუტატების მოწოდება, სადაც ნათქვამი იყო: ამხანაგო სალდათებო! თუ აღმასრულებელმა კომიტეტმა არ მოგიწოდოთ, ქუჩაზე შეიარაღებული ნუ გამოხვალთ! მხოლოდ აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია მოგიწოდოთ თქვენ, ყოველი მოწოდება თქვენი გამოწვევის შესახებ უნდა იყოს დაბეჭდილი აღმასრულებელ კომიტეტის ბლანკზე, მისი ბეჭდით და ხელმოწერილი არა ნაკლებ ორი პირისა შემდეგ პირთაგან: „ჩხეიძე, სკობელევი, ბინასიკი, სოკოლოვი, გოლდმანი, ფილიპოვსკი, ბოგდანოვი“. ამ მოწოდების შესახებ, რომელსაც ალბათ აზრათ ჰქონდა, რომ სხვა კერძო პირებს და ჯგუფებს არ გამოეწვიათ იგინი, დროებითი მთავრობა თავის მხრივ აცხადებს, რომ ჯარის გამოწვევის უფლება რჩება მხოლოდ მთავარსარდლის ხელში და მხოლოდ მის განკარგულებაში იმყოფება პეტროგრადის გარნიზონი.

დრ. მთავრობის დეკლარაცია.

პეტროგრადი. 25 აპრ. დროებითი მთავრობისაგან. როდესაც ხალხის ნებამ ძირს დასცა ძველი წეს-წყობილება და დროებით მთავრობამ აიღო ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე—მას ნათლათ ჰქონდა წარმოდგენილი ნატვრათი მოვალეობის სიმძიმე და რუსეთის ბედის წინაშე პასუხისმგებლობა. მიუხედავათ ამისა დროებითი მთავრობა არ შეუშინდა არაფერს იმ იმედით, რომ ხალხის ერთსულოვანი დახმარება ხელს შეუწყობდა მას მოვალეობის ასრულებაში, ეს იმედი მტკიცდებოდა მაშინ მთელი რუსეთის ერთსულოვანი გამოსვლებით. დამფუძნებელი კრების დაჩქარება, რომელიც საფუძვლათ დაედება თავისუფალი რუსეთის წესწყობილებას, სამოქალაქო თავისუფლებათა დაუყონებლივი განხორციელება, დემოკრატიული თვითმართველობის შემოღება, მოქალაქის უფლების მინიჭება ჯარის კაცისთვის და ამასთანავე დისციპლინის და წესიერების დაცვა, ომის წარმოება მოკავშირეებთან თანხმობით სამშობლოს დასაცავათ, აი ის უმთავრესი საგნები, რომელსაც პირველი დღიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრა ხალხის ნებამ და აი ამ პროგრამის გარშემო შედგა დროებითი მთავრობა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთაგან; ქვეყანამ მიიღო და ნდობა გამოუცხადა მას და მთავრობამაც ფიცი დადვა მიღებულ პროგრამას არ უღალატოს. თუმცა ჯერ ცოტა დრო გავიდა, მარა ხალხს საშუალება ეძლევა გასაჯოს, როგორ შეასრულა ან მომავალში როგორ შეასრულებს მთავრობა დადებულ პირობას. მთელის ენერგიით დროებითი მთავრობა მოღვაწეობის პირველი დღიდანვე ემსახურება სახელმწიფო აუცილებელ საჭიროებებს.—სამშობლოს დაცვას გარეშე მტრისაგან, სასურსათო კრიზისის შემცირებას, ფინანსების გამონახვა, მთელი რიგი რეფორმის განხორციელებას, რამაც რუსეთის ცხოვრება დემოკრატიულ და უფლებრივ გზაზე უნდა შეაყენოს. გამოცხადდა ამნისტია და მოისპო სიკვდილით დასჯა, დამყარდა ეროვნული და სარწმუნოებრივი თანასწორობა, დაკანონდა თავისუფლება—კრების და კავშირების, დაწყებულია თვითმართველობის სრული რეორგანიზაციის საქმე ფართო დემოკრატიული პრინციპების თანახმათ. მალე გამოიცემა მთელი რიგი დადგენილებათა ცხოვრების გასაახლებლათ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ახალ საფუძველზე მოსაწყობათ. შემუშავებულია დამფუძნებელი კრების საარჩევნო კანონის გეგმა, რის საფუძვლათ უდევს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის-ყრის უფლება განურჩევლათ სქესისა. მიღებულების შეამუშავებლათ შედგა განსაკუთრებული თათბირი და ის მუშაობას შეუდგება მაშინ, როცა მოწვეული პოლიტიკური პარტიები თავიანთ წარმომადგენლებს გაგზავნიან ამ თათბირში. ჯარში უფლებრივი რეფორმის საქმემ წინ გადასწიო ბევრ თავისუფალ ქვეყნებს. ვცდილობთ დავადგინოთ ჯარში შინაგანი ორგანიზაცია, რომელიც ბუნებრივი აუცილებლობით, ამ გარდამავალ ხანაში, შეიქმნა; მთავრობა ისეთ რეფორმას ახდენს ჯარში, რომელიც შეეფერება დემოკრატიულ წყობილებას. ზრუნავს რა მთავრობა ჯარის და ქვეყნის სურსათის მხრივ უზრუნველყოფისთვის — წარსული და მიმდინარე წლების პურის მოსავალი გადადის სახელმწიფოს საკუთრებათ და ის განაწილდება საჭიროების დაგვარათ. დამფუძნებელი კრების მიერ მიწის საკითხის სამართლიანათ გადასაწყვეტათ შექმნილია მთავარი კომიტეტი, რომელშიაც შედიან პარტიების და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეროვნული საკითხის შესახებ მთავრობამ გამოთქვა თავისი აზრი და მხარს უჭერს რუსეთის ეროვნებათა კულტურულ თვითგამორკვევას, ფინლიანდიის ავტონომიის აღდგენას და პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას. გარეშე პოლიტიკას მთავრობამ სარჩულათ დაუდო სხვა ერების თავისუფლების შეზღუდვისა და ძალით სხვისი მიწწყლის მითვისების უარის ყოფა, ხელი ხელ ჩაკიდებული სიარული სხვა ქვეყნების დემოკრატიასთან მკვიდრი ზავის და ერთა თვითგამორკვევის დასამყარებლად. ზემო ნათქვამთან ერთათ, მთავრობა არ შეუძლია არა სთქვას ისიც, რომ ბოლო ხანებში საქმე ძლიერ გართულდა და მომავლისთვის საშიშროებას წარმოადგენს. დიადი მოძრაობის მიერ შექმნილი დროებითი მთავრობა ხალხის სურვილების გამომხატველათ თვლის თავს და იმ აზრისაა, რომ თავისუფალი მოქალაქე ნებაყოფლობით უნდა დაემორჩილოს მის მიერ შექმნილ მთავრობას. ის ეძებს არა ფიზიკურს, არამედ ზნეობრივ დასაყრდნობს. მას აქეთ, რაც დროებითი მთავრობა ჩადგა მართვა გამგეობის სათავეში, ის არასოდეს არ აშორებულა ამ გზას. მისი მიზეზით ერთი წვეთი სისხლიც კი არ დანთხეულა, არც ერთ საზოგადოებრივ მიმდინარეობისთვის არ შეუშლია ხელი თავის აზრების გამოთქმაში. სამწუხაროა და დიდათ საშიში თავისუფლებისთვის, რომ ახალ ურთიერთობათა შექმნას ვერ ეწევა ძველი მთავრობის მიზეზით გამოწვეულ სახელმწიფოებრივი არევ-დარევის გამო. დროებითი მთავრობა, რასაკვირველია, სახელმწიფოს პრესტიჟის ასაწევათ ძველ მთავრობასავით ძალადობას ვერ მიმართავს, ხელოვნურათ არ შექმნის თვალის მომატყუებელ კომბინაციებს, ის სხვა გზებს ეძებს ამისათვის, მაგრამ უწესრიგობის დროს თითქმის შეუძლებელიც კი ხდება ამის შესრულება. საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილის სტიქიური მისწრაფება, ეხლავე თავისი სურვილისამებრ დატაცების გზით მოაწყონ საკუთარი ცხოვრება, პირდაპირ დამღუპველია: სპობს სახელმწიფოს შემაკავშირებელ ძალას, იწვევს ანარქიას და ხელს უწყობს მოქალაქობრივი ვალის ბევრის მიერ უკუგდებას და პირადი ინტერესების გამეფებას. დროებითი მთავრობა მოვალეთ რაცხს თავის თავს გამოაცხადოს, რომ საქმის ასეთი მდგომარეობა დიდათ აძნელებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას და თუ ეს პროცესი განვითარდა, აუცილებელია შინაური დაქცევა და ფრონტზე დამარცხება. რუსეთის წინაშე დგას საშინელი სახე საშინაო ომისა და ანარქიისა, რაც ერთიანათ დაასამარებს თავისუფლებას. ისტორიას ბევრჯერ გაუმზადებია სხვადასხვა ხალხისათვის შავი და სამგლოვიარო გზა თავისუფლების სამეფოდან მონობისკენ. ეს გზა არ უნდა გახდეს ჩვენ გზათ. უთვალავის მსხვერპლისა და თავისუფლებისათვის სისხლის დამთხეველთა სახელით დროებითი მთავრობა მოგიწოდებსთ ხელი შეუწყოთ მთავრობის მუშაობას. დიდ, ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია რუსეთის თავისუფლება, მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ დროებითი მთავრობას სიტყვით თუ საქმით. მთავრობა კი თავის მხრივ განსაკუთრებულის ენერგიით შეეცდება გააფართოვოს თავისი შემადგენლობა სახელმწიფო საპასუხისმგებლო სამუშაოზე ქვეყნის აქტიურ შემომქმედ ძალთა წარმომადგენლების მოწვევით, რომელნიც დღემდის არ იღებდენ პირდაპირ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. რუსეთის მოქალაქენო! სამშობლოს ბედი თქვენ ხელთაა, უთქვენოთ მთავრობა უძლურია, თქვენთან და თქვენი დახმარებით ის თამამათ და შეუპოვრათ წაიყვანს ქვეყნის ბედს ბრწყინვალე მომავლისაკენ. გახსოვდეთ, რომ არ შეიძლება თავისუფლების შენარჩუნება უმთავრობოთ, ახალი წყობილების ხანაში მთავრობა უნდა შეიქმნას და გამტკიცდეს თქვენის მეოხებით, თქვენი თავდაჭერილობით და თქვენ მიერ ნებაყოფლობით და მორჩილებით. შემოკრბით თქვენ მიერვე შექმნილ მთავრობის გარშემო, მიეცით მას საშუალება განახორციელოს თქვენ მიერ აღიარებული უფლებები, თქვენ შეგიძლიათ მისცეთ მთავრობას ძალი და ღონე ყოველგვარი სიძნელისა და საშიშროების გადალახვისა, რომელიც კი გზაზე გველოდება; მივიყვანოთ რუსეთის თავისუფლება მთლიანათ და ხელუხლებლათ იმ დიად მომენტამდე როდესაც ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება ჩაუდგება სათავეში სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.

კერენსკის მიმართვა.

პეტროგრადი. 25 აპრილი. იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ მიმართა პეტროგრადის სოც. რევოლიუციონერების კომიტეტს, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, შრომის ჯგუფის ფრაქციას და სახელმწიფო აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი განცხადებით: ამხანაგებო! მაშინ როცა დიდმა რევოლიუციამ მშრომელ დემოკრატიას უორგანიზაციობის ხანაში მოუსწრო, როცა ცენზიანმა რუსეთმა აიღო ხელში ძალა ორგანიზაციის მოწყობისა, მე, პირადი რისკისა და პასუხისმგებლობის ქვეშ, მივიღე ჩემს თავზე შევსულიყავ დროებით მთავრობაში, რომ აღმესრულებინა ძნელი და პასუხისმგებელი თანამდებობა, როგორც ერთ შემაერთებელ რგოლს ამ ორ ძალთა შორის. მე შევასრულე ჩემი ვალი, ვხელმძღვანელობდი რა მშრომელი დემოკრატიის და ჯარისკაცთა ჩემდამი გამოხატულ ნდობით. მე ვასრულებდი ასეთ ძნელს ვალდებულებას რამდენათაც შემეძლო და ვხელმძღვანელობდი ჩემი სოციალისტური და რევოლიუციონური სინდისით. ეხლა მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა. ერთი მხრივ მდგომარეობა რთულდება, მეორე მხრივ იზრდება ის ძალა ორგანიზაციულათ მოწყობილ მშრომელ დემოკრატიისა, რომელსაც მგონია აღარ შეიძლება უარი ვუთხრათ, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებაზე, მით უმეტეს, რომ მონაწილეობა ახალ ენერგიას და ავტორიტეტს შემატებს რევოლიუციის მიერ წარმოშობილ ძალას და ფართო გზას გაუკაფავს მას ისტორიულ მსვლელობაში. ამასთან პირობებში, მე ვფიქრობ, მშრომელი დემოკრატიის წარმომადგენლებს შეუძლიათ აიღონ ეს ტვირთი მხოლოდ იმ პირობით, თუ იგინი არჩეულ იქმნებიან იმ ორგანიზაციებისგან, რომელთაც ისინი ეკუთვნიან. ამ ჟამდე მე ვუცდი თქვენს გადაწყვეტილებას და მანამდის კი შევასრულებ იმ მოვალეობას, რომელიც მე ვკისრე".

გლეხთა მოძრაობა.

კიშინევი. 25 აპრილი. საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს აცნობებენ, რომ ისააკიევის და კობილევის ოლქის გლეხებმა წაართვეს ყველა კერძო მესაკუთრეს, სამის გარდა, მიწები. თავიანთ მიწებს გლეხები არ ხნავენ.

ღვდლების სამოქალაქო ყრილობამ პროსკუროვში დაადგინა ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა, რომ ამით უკეთესად გავრცელდეს ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრება.

ჟიტომირი. 26 აპრილი. მრავალ მაზრებში გლეხებმა წაართვეს მემამულეებს ჭარხლის პლანტაციები. „ცენტროსახარა" (ფირმის სახელია) მიმართა ჯარის სარდლის თხოვნით, მიიღოს ზომები და მოუწოდოს გუბერნიის კომიტეტს, რათა მან გამოსცეს მოწოდება გლეხთა მიმართ, რომ მათ დაიმუშაონ პლანტაციები სახელმწიფოებრივი ინტერესების გულისთვის.

ინიასლავის მაზრაში გლეხებმა წარუდგინეს მემამულეებს დღიური ხელფასის ნიხრი: ახალგაზრდებს 15—20 კაპ. საათში, ქალებს 25—30-მდის, მამაკაცებს 35—45-დის. თესლეულობის ნაკლებობა მხოლოდ ფრონტების ახლო მდებარე მაზრებში სჩანს. მემამულეებს არ ყოფნის შვრია, მას სცვლიან კარტოფილათ და მზედრუტათი.

ვიატკა. 25 აპრ. ზოგიერთ მაზრაში გლეხები თემის წევრები აიძულებენ გამოყოფილ მოსახლეთ, რომ მათი მიწები გადაცემულ იქმნას საზოგადო მფლობელობაში. თემის წევრები ძალიან სდევნიან გამოყოფილ მოსახლეებს. კონფლიქტების თავიდან ასაცილებლათ გუბერნიის კომისარი ნიშნავს განსაკუთრებულ კომისიებს.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პარიზი. 25 აპრ. საღამოს ცნობა. სუასონის ჩრდილო-აღმოსავლეთით შმენ დე დამის გზაზე მტრის ქვეითა ჯარს აქტივობა არ გამოუჩენია. მთელი დღის განმავლობაში მტრის არტილერია ყუმბარებს უშენდა სერნიულ ტებოზის და კრაონის რაიონებს. ჩვენი არტილერია ენერგიულ პასუხს აძლევდა.

მფრინავთა მოქმედება. 18—21 აპრილამდე ჩვენმა მფრინავებმა მთელი რიგი ბრძოლა გაუმართეს მტერს ჰაერში, ამ ბრძოლაში ჩამოაგდეს 25 გერმანელთა აეროპლანი. მათი დამსხვრევა შემოწმებულია. ამას გარდა 5 დაზიანებული აპარატი გერმანელებისა მტრის რაიონში ჩამოვარდა. საფიქრელია, რომ მათი უმრავლესობა სრულიად გამოუსადეგარი იქნებიან, მარა ამის დასამტკიცებელი ცნობები არ მოგვეპოვება.

ბალკანეთის ფრონტზე. მთელ ფრონტზე არტილერიის მოქმედება გაცხოველებულია. ფრანგების და ვენიზელოსისტთა ჯარებისაგან 22 აპრილს დაპყრობილ პოზიციებზე ბულგარელებმა სამჯერ მიიტანეს კონტრიერიში, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. მტრის მზვერავი რაზმი, რომელიც მოქმედებდა ბრესლავის მახლობლათ, მალაურის მთის სამხრეთით, გავფანტეთ.

ლონდონი. 25 აპ. ოფ. ცნობა ბრიტანეთის მთავარი შტაბისა საფრანგეთში. მტრის არტილერიამ ღამის განმავლობაში ენერგიული მოქმედება გამოიჩინა, განსაკუთრებით ფრენუასა და ლაასის მახლობლათ. ჩვენი არტილერია პასუხს აძლევდა. ღამით ჩვენ თავს დავესხით მტერს ნევშატელის და ფოკირსარის მიდამოებში. მტრის მცირედი რაზმი მოგვიხტა ჩვენს პოზიციებზე არმანტიერის ჩრდილოეთით, მარა ხელჩართულ ბრძოლაში უკუვაქციეთ. რამოდენიმე დახოცილი მტრის ჯარისკაცი დარჩა ჩვენს სანგრებში. ჩვენც დაგვეკლდა რამდენიმე კაცი.

ჰავრი. ბელგიის ოფიც. ცნობა. მუსინკეს რაიონში ღამით გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლა იყო. დღითაც არტილერია საკმაოთ ძლიერ მოქმედებას იჩენს. გეძასთან ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარებით სწარმოებს.

პეტროგრადი. დასავლეთის ფრონტი. მტრის არტილერია ინტენსიურათ მოქმედებს ვილნოს მიმართულებით სმორგონ-კრევოს რაიონებში და ვლადიმირო-ვოლინსკის მიმართულებით, ზატურცი-შელვოვის რაიონებში.

ბელოჩევის აღმოსავლეთით მტერმა ორი დიდი ძალის ნაღმი ააფეთქა, რამაც ჩვენი თხრილები დააზიანა. ბრზეჟანის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა ძლიერი აფეთქება გამოიწვია. მტრის ბატარეების დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ფრონტი. სენნეს ჩრდილო დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს დეჟენფუსაკენ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება: კარდელიჩის რაიონში არტილერიით ჩამოვაგდეთ გერმანელების აეროპლანი, რომელიც მტრის მავთულების ღობის წინ ჩამოვარდა. ბრზეჟანის რაიონში „ილია მურომეცმა" გაანადგურა მტრის ორი აპარატი, რომელნიც მტრის ბანაკში ჩამოვარდნენ.

ახალი ამბები

ჟენევიდან ამ დღეებში დაბრუნებული ემიგრანტი დ. ულიაშვილი გადმოგვცემს ჟენევაში დარჩენილ ამხანაგების ნათესავთა საყურადღებოთ, რომ არავინ იქიდან ჯერ არ გამომგზავრებულა, თუმცა სურვილი დიდი აქვთ წამოსვლისა. ამ ჟამათ იქ იმყოფებიან და ჯანმრთელათ არიან შემდეგი ქართველები: ასათიანი, ანდრონიკაშვილი ცოლით, ბუაჩიძე, ვაშაძე, გოგიაშვილი ცოლშვილით, მგელაძე ლასა, ქურქულიანი, თევზაძე, ოკუჯავა, სალაყაია, ხოფერია, ფილია. ეს პირნი ჯერ არ წამოსულან სხვადასხვა მიზეზების გამო.

◆ კვირას, 30 აპრილს, დილის 11 საათზე ყოფილ სასახლეში დანიშნულია კრება სარაიონო კომისიის წევრთა მომამარჯვებელ საზ. „აღორძინების", ე. ი. იმ კომისიის წევრების, რომლებიც არჩეულნი არიან გარეშე უბნების მცხოვრებელთა მიერ, როგორიც არის: საბურთალოს, ვერის, მთაწმინდის, ნაძალადევის, ერთობის უბნის და მახათის ძირის მცხოვრებლების (მე 7 და მე 8 საპ. უბ.). კრების საგანია გარეშე უბნებში „აღორძინების" განყოფილებების დახსნა.

◆ მუშათა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა სამშაბათის სხდომაზე მსჯელობა იქონია გაზეთ „კავკაზსკი რაბ." უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ წერილზე გაზეთ „პრავდის" განთავისუფლება. კომიტეტმა გაზეთის ამგვარი გამოსვლა აღიარა არაამხანაგურათ და მუშათა დეპ. საბჭოს სახელის გამტეხათ.

◆ სამხედრო სანიტარულმა კომისიამ რევიზია უყო თფილისის სამხედრო აფთიაქის მაღაზიას, სადაც აღმოჩნდა საშინელი უწესრიგობა და არევ-დარევა. მაღაზიაში ვერ იპოვნეს ბევრი ისეთი საქონელი, რომელიც ჩაწერილი იყო საბუღალტერო წიგნებში, ეტყობა გარეშე წამლები სადღაც გაქრალა.

◆ სამხედრო სანიტარულმა კომისიამ დაადგინა: იმ პირთ, რომელნიც შუამდგომლობას აღძრავენ ხელახლად შესამოწმებლათ, წინადადება მიეცეთ მიმართონ ადგილობრივ სამხედრო გოსპიტალს, სადაც საბოლოო შემოწმებაზე დაესწრება დასახელებული კომისიის სამი წევრი.

◆ მუშათა კომისიამ ცენტრალურ შემთანხმებელ კომისიაში კანდიდატებათ დაასახელა: ვლ. ახმეტელაშვილი, პ. კახიანი, სილ. ჯიბლაძე, აივაზოვი, ბადრიძე და მ. არსენიძე. იმავ კომისიამ დაავალა პ. კახიანს შეაგროვოს მუშათა კომისიის ბიბლიოთეკისთვის ჟანდარმერიისა და სასამართლოს მიერ ჩამორთმეული ლიტერატურა.

◆ მუშათა კომისიამ დაადგინა ხელი შეუწყოს ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის დაარსებას, რომელიც თავს დაუყრის ამ დარგში მომუშავე ყოველმხრივ დამონავებულ და დაჩაგრულ ელემენტებს.

◆ **ყირგიზების დეპუტაცია.** გუშინ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს წარუდგა სირდარიის ოლქის ყირგიზთა დეპუტაცია, რომელმაც ითხოვა მიხედონ მათ უმწეო მდგომარეობას, მათი ბედი ასეთია: როგორც ვიცით ძველმა მთავრობამ გადაწყვიტა მუსულმანების სამხედრო-საინჟინერო საქმეზე მოხმარა, ამ გადაწყვეტილების ძალით ეს ყირგიზები რიცხვით ათასამდე კაცი, იანვარში აეყრიათ და მას აქეთ რუსეთში უტარებიათ უსაქმოთ, როგორც ყოფილა მათ მატარებელს დღეს ნავთლუღშიც ამოუყვია თავი. შიმშილი, წყურვილი, ავათმყოფობა აი რა დაუყენებია თან ამ ხალხს, მათი პატრონი დღეს არავინაა. იმედია საგანგებო კომიტეტი დაუყონებლივ მიხედავს ამ უმწეო ხალხს და პირველ შეძლებისთანავე დააბრუნებს სამშობლოში.

◆ თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოსთან არსებული პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიურო სთხოვს კრებების, მიტინგების და წრეების მომწყობ ამხანაგებს შეატყობინონ ბიუროს კრების დანიშვნის დრო და ადგილი 2 დღით ადრე.

◆ 1 მაისს თამარის დღეს, „განათლების" საზოგადოება კავკასიის კომისარიატის ნებართვით შეკრებს ყულაბებით ფულს საქალებო სემინარიის სასარგებლოთ, საქართველოს ყოველ კუთხეში და აგრეთვე თფილისშიაც. დახმარების აღმოჩენის მსურველთ უნდა მიმართონ საზოგადოების თავმჯდომარეს ანასტასია მიხელისასულს თუმანოვ წერეთლისას, არტილერიის ქუჩა № 5, „ჯეჯილის" რედაქცია.

◆ ნაძალადევის რაიონში დაარსდა მოწაფეთა წრე. წრის დამაარსებელნი არიან რომელსაც სხვათა შორის მიზნათ აქვს დასახული ღარიბი მოწაფეების უსასყიდლოდ მომზადება, საბავშვო კითხვების მოწყობა, შუნდოვანი სურათების ჩვენება, საბავშვო წარმოდგენების, ექსკურსიების მოწყობა და სხვა.

◆ პირველ მაისიდან სახელმწიფო შემნახველი კასა № 1082 გაღებული იქნება დილის 8 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის.

◆ ჟურნალი „ნაკადული". „ნაკადულის" რედაქტორის ნინა ნაკაშიძის ავათმყოფობის გამო ჟურნალის მორიგი №№ დაგვიანებით გამოდის.

◆ კვირას, 30 აპრილს, დილის 10 საათზე მუშათა საბჭოს კომისია სასახლეში იწვევს თფილისის ყველა პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებს, კავშირთა კავშირის შედგენის შესახებ, ბინისა და სხვა კითხვებზე სათათბიროთ.

◆ 30 აპრილს, 1 საათზე, ქ. გორში, უმაღლეს დასაწყის სკოლის შენობაში დანიშნულია თფილისის გუბერნიის დასაწყის სკოლების მასწავლებელთა კავშირის გორის ფილიალურ განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

◆ თფილისის სპილენძის ქარხნის მუშებმა ხაზინებს წარუდგინეს მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ. თხოულობენ 80 პროცენტით ხელფასის გადიდებას. ქარხნის დირექტორი დაპირდა მუშებს მათი მოთხოვნილებანი გადასცეს საქალაქო მომრიგებელ კომისიას.

◆ **თფილისის ტრამვაის** მოძრაობის მოსამსახურეებს მოგვაგონებენ, რომ შაბათს 29 აპრილს ხუთის ნახევარ საათზე დილით ტრამვაის პარკში დანიშნულია კრება აღმასრულებელი და მაძიებელი კომისიის ამოსარჩევათ. ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

◆ **ბავშვის დაკარგვა.** 27 დაიკარგა მეჩექმე სიმ. ზოიძისთან მომუშავე შეგირდი, მიშა ადამოვი, ეროვნებით სომეხი სოფელ დვალოთელი, ყრუ-მუნჯია, 14 წლისაა. თუ ვინმემ იცით მისი სადმე ყოფნა, გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობა ამ ადრესით: თფილისი, ოქროს მჭედლების ქუჩა. № 42 სიმ. ზოიძე.

პროვინციის ქრონიკა.

დ. ხაშური. აღმოჩნდა, რომ ადგ. სავ. გიმნ. მასწავლებელი ს. ი. გამრეკელოვი ჩადიოდა საზიზღარ საქმეებს. სხვათა შორის ის ერთ ავათმყოფ ჯარ. კაცს ნიკ—შვილს დაპირებოდა განთავისუფლებას სამხედრო სამსახურიდან და პოლოლოვის შუამავლობით აუღია მისგან 200 მანეთი. რადგან ბ-ნ გამრეკელოვმა ვერაფერი მოახერხა, ჯ. კაცმა ნიკ—შვილმა მიმართა მას თხოვნით, რომ ფული უკან დაებრუნებინა მისთვის. საქმის გამოძიების შემდეგ პედაგოგიურმა კორპორაციამ ის გააძევა სამსახურიდან. ს. გამრეკელოვი არ დაცხრა და შეჩივლა კომისარიატს, რომელსაც ის ღირსეული პასუხით გამოუსტუმრებია. ვერც ახლა შეჩერდა ბ-ნი გამრეკელი და თავის მართლებით მიმართა ხაშურის სალდათთა საბჭოს.

— რკინის გზის კლუბში კვირას 16 აპრილს ამხ. ნიკიფ. იმნაიშვილმა რუსულ ენაზე წაიკითხა ლექცია: რევოლიუცია და დემოკრატიული რესპუბლიკა. ლექცია ფრიად შინაარსიანი იყო და ხალხი კმაყოფილი დარჩა.

პირველი მაისი პროვინციაში. როგორც სჩანს, პირველი მაისის დღესასწაული ყველგან დიდის ამბით გადაუხდიათ. ყველა კორესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ ხალხის აღფრთოვანებას და სიმრავლეს. პირველ თავისუფალ დღესასწაულს აყარებული მუშა და გლეხობა გამოუყვანია ქუჩაში საზეიმოთ. წითელი დროშები შესაფერი წარწერებით, რევოლიუციონურ სიმღერების მომღერალი გუნდები, ორკესტრები—აი რა ამშვენებდა მუშათა ინტერნაციონალურ დღეს. საერთო ლოზუნგი ყველა მიტინგებზე იყო: 8 საათის სამუშაო დღე, სოციალიზმი და თანამედროვე მომენტის გაშუქება, თითქმის ყველა მიტინგმა გამოიტანა დადგენილება 8 საათის სამუშაო დღის დაკანონების შესახებ, უკონტრიბუციო და უანექსიო ზავზე, დემოკრატიულ რესპუბლიკის აუცილებლობაზე და სხვ.

მიტინგები გამართულა სხვათა შორის ქ. თელავში, საჩხერეში, სამტრედიაში, ბათუმში, სოფ. ერთა-წმინდაში, ს. გეჯეთში, სარიკამიში, ლანჩხუთში, ზანძაში, ევლახში, ველისციხეში, ჩიხატაურში, ჯუმათში, ხონში და მრავალ სხვაგან.

სად. ულუხანუ. თუმცა ცუდი ამინდი იყო, მაგრამ პირველი მაისი მაინც დიდის ამბით ვიდღესასწაულეთ.

სოფ. წრომი. (ხვისის საზოგად.) ზოგიერთა წევრების ინტრიგანების მიზეზით დაიხურა წრომის კოოპერატივი, რომელიც ემსახურებოდა აყარებულ სოფლებს და ხალხსაც დიდს სამსახურს უწევდა.

სად. გომი. გორის მაზრის სასურსათო აგენტის კ. ნინიძის თავმჯდომარეობით მოხდა გომში კრება, სასურსათო პუნქტის დასაარსებლათ. წინადადება პუნქტის დაარსების შესახებ ერთხმათ იქნა მიღებული. აირჩიეს გამგეობა. ასეთივე პუნქტები მოეწყობა სხვა ადგილებშიც.

სოფ. ბრილი. (ალის საზოგადოება). ხსენებულ სოფელს არტყია ახლოს ტყე, რომელიც ეკუთვნის გომის სინდიკატს. ახლო-მახლო მდებარე სოფლები ამ ტყით სარგებლობდენ და ტყე დაუნდობლათ იჩეხებოდა და ოხრდებოდა, რევოლიუციამ გამოაფხიზლა სოფლები და ახლა აუკრძალეს რა ტყის გაჩეხვა ხალხს, აღარავის არ უშვებენ შიგ.

სოფ. ხვისი. (გორის მაზრა). ხვისის საზოგადოების სასოფლო აღმასრულებელმა კომიტეტმა იქონია რა მსჯელობა სხვადასხვა უკანონო გადასახადებზე, მექრთამეობაზე და ქურდებზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება: უარყოფილ იქნეს ყველა უკანონო და ზედმეტი გადასახადები საბალახოზე, შეშით სარგებლობაზე საბატონო ტყეებიდან და სხვ; ძველი მოხელე პირები, რომელნიც მექრთამეობაში იყვნენ შემჩნეულნი პასუხისგებაში მიეცემიან; გამოეცხადოთ ქურდებს მიატოვონ ძველი სამარცხვინო ხელობა და მოჰკიდონ ხელი პატიოსან შრომას, ხვისის საზოგადოების აღმ. კომიტეტი მეტათ ერთგულათ მუშაობს და თანდათანობით ავტორიტეტს იმსახურებს ხალხში.

სოფ. იტრია. (სურამის საზოგადოება). იტრიის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს: რადგან პირველ მაისობის დღესასწაულში მონაწილეობა ვერ მივიღეთ სხვადასხვა მიზეზებისა გამო, ამიტომ დღესასწაულს იხდიან ამ მოკლე ხანში საკუთრათ და შესაფერი დროშაც შეუკვეთეს.

კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდი.

(მეოთხე დღე, 26 აპრ.)

თავმჯდომარეობს **ევგენი გეგეჭკორი.**

გრძელდება კამათი დ. პოპოვის მოხსენების შესახებ.

ანდრეევსკი ეხება რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას და ამბობს, რომ დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია სოციალური რევოლიუციის წარმოება, დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ბურჟუაზიულ, პოლიტიკურ რევოლიუციასთან და ამისთვის შესაძლებელია და სასურველიც გამოვიყენოთ ყველა ძველი რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტები. ამ გზას უკვე დაადგა პეტრ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და ჩვენც უნდა მივბაძოთ მას, თუ გვინდა დიდი საქმე გავაკეთოთ. ორატორი წინააღმდეგია ჯარში პოლიტიკური პარტიული ორგანიზაციების მოწყობისა.

ნაზარიანი. ჯარში პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა არ არის საშიში, თუ ისინი

თანხმობით იმუშავებენ. ამისთვის საჭიროა შეთანხმდნენ თვით პოლიტიკური პარტიები. ორატორი მოითხოვს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ორგანიზაციების გაერთიანებას პროპორციონალური წარმომადგენლობის პრინციპზე.

ხმირნოვი გაკვრით ეხება საფრანგეთის რევოლიუციას და ამბობს, რომ მაშინ უკმაყოფილო კლასი იყო „მესამე წოდება", ახალგაზდა ბურჟუაზია, რომელიც მიილტვოდა პოლიტიკური თავისუფლებისაკენ. რუსეთში კი დღეს ხელმძღვანელ როლს თამაშობს პროლეტარიატი, რომელიც, მართალია ორგანიზაციულათ შეკავშირებულია, მარა რიცხვით ჯერ მცირეა. დემოკრატიის დიდ უმრავლესობას გლეხკაცობა შეადგენს, რომელიც ვერ დგას კლასიური გათვითცნობიერებით პროლეტარიატის სიმაღლეზე, ვინაიდან მარტო მიწა არ არის კლასიური მოთხოვნილება. ამნაირათ, მართალია მუშათა კლასი მიისწრაფის სოციალიზმისაკენ, მაგრამ დღეს არის პირობები მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლიუციისათვის, და შესაძლებელია დროებით ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა, რადგან ჩვენ არ ვაწარმოებთ სოციალურ რევოლიუციას, როცა პროლეტარიატმა მართლაც უნდა ჩაიგდოს ხელში დიქტატურა... რაც შეეხება ჯარის პარტიულათ დანაწილებას, ორატორი პრინციპიალურათ არ არის ამის წინააღმდეგი, ვინაიდან, მისი აზრით, პოლიტიკური პარტიები ყოველთვის შესძლებენ დააყენონ ისე საქმე, რომ განხეთქილება არ შეიტანონ ჯარისკაცთა შორის. მხოლოდ მას აშინებს ის გარემოება, რომ ამით ისარგებლებენ და შექმნიან ნაციონალურ ორგანიზაციებს, რაც არ არის სასურველი. ამისთვის იგი წინააღმდეგია ჯარის პოლიტიკურ თუ ნაციონალურ საფუძველზე დანაწილების... პარტიული დისციპლინა შეეჯახება სამხედრო დისციპლინას, ეს კი ანარქიას გამოიწვევსო...

ალ. ლომთათიძე. საფრანგეთის 1789 წლის რევოლიუციას ხელმძღვანელობდა ბურჟუაზია. მან პირველმა გადმოისროლა სამართლიანობისა, თანასწორობისა და თავისუფლების ლოზუნგი, მან პირველმა აიღო ბასტილია, სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა თავად აზნაურობასა და სამღვდელოებას... ცხადია, შესაძლებელი ყოფილა ბურჟუაზიის რევოლიუციონერობა, მხოლოდ ამისთვის საჭიროა შესაფერისი ისტორიული პირობები.. ჩვენში დღეს არსებობს ასეთი პირობები, ბურჟუაზიაც დაინტერესებულია პოლიტიკურ თავისუფლებაში, მაშასადამე ისიც რევოლიუციონური ძალაა, სანამ არ მიუღწევია თავისი მიზნისათვის... შეაძლებელია დღევანდელ პირობებში პროლეტარიატმა დიქტატურა ჩაიგდოს ხელში? 1871 წ. ეს სცადა საფრანგეთის მუშათა კლასმა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და მთელი საფრანგეთი სისხლით მოირწყო... სიტყვა „ბურჟუა" კი არ უნდა გვაშინებდეს, უნდა მოვქმედებდეთ ბრძნულათ, წინდახედულათ, რომ ისტორიული შეცდომები თავიდან ავიცდინოთ...

ალ. ლომთათიძის შინაარსიანი სიტყვა შთაბეჭდილებას ახდენს და დელეგატები მოითხოვენ მისცენ მას ლაპარაკის ნება, თუმცა დრო გაუვიდა... ბოლოს ამხ. სარქისოვი უთმობს მას თავის სიტყვის უფლებას. ა. ლომთათიძე ეხება ჯარში პოლიტიკური ორგანიზაციების საკითხს და ამბობს, რომ პარტიული დანაწილება ხდება კლასიურ ნიადაგზე და ყოვლად შეუძლებელია იგი დაუშვათ ჯარში. ამასთანავე მაშინ ჩვენ მივიღებდით უკრაინელთა, ქართველთა და სხ. ნაციონალურ ორგანიზაციებს. ჯარის პოლიტიკურათ გაწრთვნისათვის ჩვენ სხვა საშუალებაც მოგვეპოვებაო.

იუზბაშოვი ამბობს, რომ ბურჟუაზიის მხრით კონტრ რევოლიუცია არ არის საშიში, ვინაიდან იგი ემორჩილება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს. არ არის საშიში არც „გოროდოვოების" კონტრ-რევ., საშიშია მხოლოდ თვით ჩვენში მომხდარი განხეთქილება. ამისთვის საჭიროა ყველა სოციალისტურ პარტიათა გაერთიანებაო...

ახტკოვსკი. ჩვენ ეხლა ვიმყოფებით რევოლიუციის იმ ფაზაში, როცა საჭიროა შემოქმედებითი მუშაობა. ჩვენ მარტო კონტროლით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, თუ საჭირო იქნება უნდა შევიდეთ კიდეც დროებითი მთავრობაში, რომ სათავეში მოვექცეთ სამშობლოს მართვა-გამგეობას.

პოლკ. ხოკოლცოვი ემხრობა ა. ლომთათიძეს და ილაშქრებს ჯარში პარტიული ორგანიზაციების წინააღმდეგ. ყველაზე უფრო სამარცხვინო ჯარში ძველი მთავრობის მომხრეობააო—ამბობს ორატორი, და დარწმუნებულია, რომ თავისუფლების ლოზუნგი ყველას მხედროთ შეაკავშირებს.

თუმანოვი. შეუკავშირებელი მასსა შესაძლებელია გამოდგეს ბრმა იარაღათ ყველა ძლიერ პიროვნების ხელში. როცა ძველი მთავრობა არ გვაძლევდა შეკავშირების უფლებას—ეს გასაგები იყო. მარა არ გვესმის, დღეს რათ უარყოფენ ჯარში ორგანიზაციების მოწყობას პოლიტიკურ ნიადაგზე. ის მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში და შეგნებულათ უნდა შევხვდეთ მას.

ზერიოზოვი წინააღმდეგია ჯარში პარტიული ორგანიზაციების აკრძალვისა, რადგანაც ისინი უკვე არსებობენ და თუ ჩვენ მათ ბრძოლა გამოვუცხადეთ, ვაიძულებთ არალეგალურათ იმუშავონო. საჭიროა მხოლოდ პარტიათა შორის დამოკიდებულება ჯარში არ გამწვავდეს, იმათ არ ჩაერიონ სამხედრო საქმეში და განაგრძონ მარტო წმინდა პოლიტიკური მუშაობა.

ევეცი ჯერ კიდევ მაშინ, ძველი რეჟიმის დროს, როცა მტერზე იერიშების შემდეგ ვბრუნდებოდით დასასვენებლათ, ვამბობდით, ომის შემდეგ მაინც მოგვცემენ „მიწასა და თავისუფლებას"-ო. ჩვენ უკვე მომწიფებულნი ვართ პარტიული ცხოვრებისათვის. საჭიროა პოლიტიკური შეგნების შეტანა ჯარში. მაგრამ როცა მიდიხ ჯარისკაცთან, მე, როგორც ყოფილი პედაგოგი, გეუბნებით, ნუ ეტყვით მას გახდეს ს.-დემ. ან ს რევ. უთხარით მხოლოდ, რომ მისთვის საჭიროა „მიწა და თავისუფლება"...

ნესტორ ცერცვაძე. ბურჟუაზია ვერ ჩამოშორდება რევოლიუციას ისე, როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყურში. ის იძულებულია ჩვენთან იაროს და პროლეტარიატი ამით არაფერს არ კარგავს, ვინაიდან გაცილებით მაღლა დგას ბურჟუაზიაზე შეგნებითო. წინააღმდეგია ჯარში პოლიტიკური ორგანიზაციებისა. ამით ისარგებლებენ ნაციონალისტები. ჩვენ კი გვინდა ჯერ საერთო მტერი მოვიშოროთ, საერთო უღელისაგან განვთავისუფლდეთ...

ამიროვი. (კ.-დ.) რევოლიუციონური ძალები ინსტიქტიურათ, შეუგნებლათ მოქმედობდენ და არა ვისიმე ხელმძღვანელობით. ყველა, მუშიდან დაწყებული აზნაურ როძიანკომდე, დარწმუნდა, რომ „ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა" და ერთსულოვან იერიშით დაამხვეს ძველი წყობილება. მაგრამ აქ ყველამ მოისურვა საკუთარი გზით სიარული. ყველა ნაციამ, ყველა ადამიანმა წამოაყენა თავისი მოთხოვნილება და ძალებიც დაიქსაქსებოდა, რომ საბედნიეროთ, დროზე არ გამოესწორებინათ ეს შეცდომა და არ დაეწყოთ სოლიდარული მუშაობა. რამდენათაც ბურჟუაზია ეკონომიურ ცხოვრების ორგანიზაციაში თამაშობს უმთავრეს როლს, მას ვერ გააძევებ რუსეთიდან, იგი საჭირო ძალაა და აუცილებელია მასთან შეთანხმება დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით. ჩვენ ამ მოსაზრებითვე წინააღმდეგი ვართ ჯარში პარტიულ ორგანიზაციებისა, თუმცა ამ რამდენიმე დღის წინ კადეტებს გვინდოდა ასეთი ორგანიზაციის შექმნა.

რამდენიმე ორატორი კიდევ ლაპარაკობს და კამათი დასრულდა. მომხსენებელი დ. პოპოვი ამბობს უკანასკნელ სიტყვას და კითხულობს რეზოლიუციას, სოც.-რევოლ. წარმოადგენს თავის რევოლიუციას. ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხში ისინი უერთდებიან მომხსენებლის დებულებებს, მხოლოდ მოითხოვენ ჯარში პოლიტიკურ ორგანიზაციების მოწყობას. ს.-დ. პოპოვის მოხსენება და ბოლო სიტყვა იმდენათ შინაარსიანი და დასაბუთებული გამოდგა, რომ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი უმრავლესობით კრება იღებს მის რეზოლიუციას.

დასასრულ კითხულობენ სიეზდისადმი მისალმების დეპეშებს.

დღეიდან სიეზდის სხდომები მოხდება დღეგამოშვებით, ვინაიდან სექციებში მუშაობა დიდ დროს ითხოვს. **ვ. ალათიშვილი.**

რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა დელეგატების სიეზდი.

24 აპრილს მორიგი სხდომა.

თავმჯდომარეობს ივ. ზურაბოვი. სიეზდზე გამოცხადდენ კახეთის რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა წარმომადგენლები, მიესალმნენ სიეზდს და ის აზრი გამოსთქვეს, რომ კახ. რკ. გზის მუშები და მოსამსახურენი უფროს ძმებათ სთვლიან კავკასიის რკინის გზის მუშებსა და მოსამსახურეთ და სცდილობენ იხელმძღვანელონ ცხოვრებაში იმათის მაგალითით.

ივ. ზურაბოვმა საპასუხო სიტყვა უთხრა მათ.

დ. ათაბეგის წინადადებით სიეზდმა დაადგინა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში იყოლიონ ერთი წარმომადგენელი კახეთის გზიდან.

დ. ათაბეგი მოხსენებას აკეთებს სასურსათო საკითხის შესახებ. მან თავის მოხსენებაში ვრცლათ აღწერა სასურსათო საქმის დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც ძველმა მთავრობამ სრულს უვარგისობამდის მიიყვანა. შემდეგ ვრცელი წესდება წარუდგინა სიეზდს სურსათის საქმეში სახელმძღვანელოთ, რომლის თანახმადაც ძველი სასურსათო კომიტეტი ირღვევა და სურსათის მოწყობის საქმე ევალება ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც დამოკიდებულება ექნება რაიონულ კომიტეტებთან. ცენტრალური კომიტეტიდან გამოიყოფა ცალკე სასურსათო კომისია, რომელსაც დაევალება ამ საქმის მოწესრიგება და რომლის სახელმძღვანელოთაც სიეზდმა მიიღო და დაამტკიცა რამდენიმე მუხლისაგან შემდგარი წესდება. სასურსათო კომისიის განკარგულებაში გადავა ის 464 ათასი მანეთი, რომელიც სასურსათო საქმისათვის ჰქონდა ავანსათ ძველ კომიტეტს. სასურსათო საკითხის გამორკვევის და სახელმძღვანელო წესდების დამტკიცების შემდეგ მოხსენებას აკეთებს **ერ. ცხადაია** რკინის გზის მუშათა შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია არა სასურველი მდგომარეობა რკინის გზის მუშებისა სხვა და სხვა დარგში აღნიშნულია აგრეთვე დღიურ მუშათა შტატში ჩარიცხვის შესახებ, გადამტვირთავ დამტვირთავ მუშათა შესახებ და სხვა, რომლის ყოველმხრივ მოწესრიგება და ტეხნიკურად შემუშავება სიეზდმა მომავალ ცენტრალურ კომიტეტს მიანდო.

ამის შემდეგ კომიტეტის ორგანოსა და პროპაგანდისტთა ბიუროს შესახებ მოხსენებას აკეთებს **ვ. ნინიძე.** მოხსენებაში ნათქვამია, რომ ცენტრალურ კომიტეტთან დაარსებული უნდა იქნას ყოველკვირეული ჟურნალი, სადაც მოთავსებული უნდა იქნეს ცენტრალურ კომიტეტის მოქმედების ანგარიშები და აგრეთვე სხვადასხვა თანამედროვე პოლიტიკურ კითხვებზე წერილებიც. ჟურნალში ადგილი ექნება დათმობილი სამსახურის საქმეების შესახებ ოფიციალურ განყოფილებას, ჟურნალი უნდა გამოიცეს რკინის გზის ხარჯზე. ცენტრალურ კომიტეტიდან უნდა გამოიყოს სარედაქციო კომისია, რომელსაც კოოპტაციის საშუალება ექნება და რომელმაც უნდა გაუძღვეს ჟურნალის საქმეს. აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტთან უნდა დაარსდეს, მოხსენების თანახმათ, ბიურო პროპაგანდისტთა და ლექტორთა, რომლებიც სისტემატიურათ ივლიან სხვა და სხვა პუნქტებში და რკინის გზის ლიანდაგზე გაფანტულ მუშებსა და მოსამსახურეთ გააცნობენ საერთო პოლიტიკურ კითხვებს და სხვა. აგრეთვე ეს ბიურო შეეცდება პროპაგანდა აგიტაციის საშუალებით განვითარება და შეგნება შეიტანონ რკ. გზის მუშათა და მოსამსახურეთა წრეებში.

მარიამიძე სურვილს გამოსთქვამს, რომ ჟურნალში განყოფილებები იყვეს რუსულს, ქართულს და სომხურ ენაზე, რადგანაც რკინის გზაზე მუშებისა და მოსამსახურეების დიდი რიცხვი ამ სამი ერისაგან შესდგება და ხშირათ არის, რომ ბევრმა მათგანმა მხოლოდ თავიანთ ენაზე იციან კითხვა. პირველ ხანებში ამ წინადადების დაკმაყოფილება სიეზდმა ვერ სცნო შესაძლებლათ და ამიტომ დაადგინა გამოიცეს ჟურნალი ჯერჯერობით მხოლოდ რუსულ ენაზე. პროპაგანდისტთა და ლექტორთა ბიუროს დაარსების შესახებ სიეზდმა დაამტკიცა მოხსენება და აუცილებლათ სცნო ასეთი ბიუროს დაარსება.

იხ. მალანია. მოხსენებას აკეთებს კომიტეტების ფინანსიური საშუალების შესახებ. რადგანაც კომიტეტები ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, რომელიც წესრიგსა და სამსახურის საქმეების მოგვარებას შეეხება რკინის გზაზე, ამიტომ ხარჯებიც რკინის გზის შემოსავლიდან უნდა იქნეს დაფარულიო.

კამათს იწვევს დელეგატთა და ცენტრალურ კომიტეტის წევრთათვის სასყიდლის მიცემის საკითხი.

კუპრაშვილი და სხვა ორატორები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ცენტრალურ კომიტეტის წევრებს უნდა უეჭველათ მიეცეს სასყიდელი, რადგან ისინი მუდამ აქ იქნებიან და თუ რომელიმე დაბალი მოსამსახურე მოხვდა შიგ, მას არ შეუძლია იარსებოს ტფილისში თავისი უმნიშვნელო ჯამაგირითაო.

სიეზდმა დაადგინ: ხარჯები კომიტეტისა უნდა იკისროს რკინის გზამ. რაც შეეხება ცენტრალურ კომიტეტის წევრებს, ვინც ლიანდაგიდან მოხვდება კომიტეტის შემადგენლობაში უნდა მიეცეს დღიურათ 5 მანეთი ამ ხარჯების ასანაზღაურებლათ. თუ პირველ ხანებში მოსახერხებელი არ იქნება რკინის გზის შემოსავლის თანხიდან დავფაროთ ეს ხარჯი, უფლება ეძლევა ცენტრალურ კომიტეტს თითო ან ნახევარი პროცენტი გადასახადი დააწესოს მოსამსახურეთა ჯამაგირებზე ხარჯების ასანაზღაურებლათ.

პ. წულაია და **ი. მეგრელიშვილი** სიტყვებით მიმართავენ სიეზდს და უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ საუკეთესო ძალები ლიანდაგიდან სიეზდზე არიან ჩამოსული, მათი ადგილობრივ კომიტეტებში მუშაობა და იქ ყოფნა საერთო საქმისათვის მნიშვნელოვანია და სიეზდი კარგა ხანია გრძელდებაო. ამიტომ მოუწოდებენ ამხანაგებს მცირემნიშვნელოვან კითხვებზე ნაკლები დრო დახარჯონ და დააჩქარონ სიეზდის მუშაობა. მართალია, მრავალი კითხვა არის დარჩენილი დამატებითი დღის წესრიგში შესატანათ, მაგრამ ისინი შედარებით მცირემნიშვნელოვანია, ამიტომ მათი მოწესრიგება ცენტრალურ კომიტეტს მივანდოთ და არჩევნებს შევუდგეთ დროზედაო. კრებამ დაადგინა, არჩევნები მოხდეს 25 აპრილს.

4 საათზე სხდომა დაიხურა. **ნ.**

P. S. **შეცდომის გასწორება.** „ერთობის" № 30 ში რკინის გზის სიეზდის ანგარიშში პ. წულაიას მოხსენების შესახებ შეცდომით ნაჩვენებია: „მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღევანდელი რევოლიუცია შექმნა სამმა კლასმა, ესე იგი მუშებმა, არმიამ და ბურჟუაზიამ" უნდა იყოს: „დღევანდელი რევოლიუცია შექმნა სამმა ჯგუფმა" (три группы) და სხვ... **ნ.**

ადგილობრივი მთავრობის ორგანიზაცია.

ამიერ კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა გამოიმუშავა დროებითი დებულებანი ადგილობრივ მთავრობის ორგანიზაციის შესახებ. დებულება ძალაში შევა გამოქვეყნების დღიდანვე. სანამ ჩვენში არ მომხდარა ჩვენი საადმინისტრაციო წესების გამოქვეყნება და სამისო არჩევნების მოხდენა საყოველთაო ხმის მიცემით, ყველა საქმის გაძღოლა ეკისრება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლოს, სარაიონოს, საქალაქოს, სამაზროს, საგუბერნიოს და მათ კომისარებს. საგუბერნიო ქალაქების კომიტეტებს შეადგენენ ქალაქის საბჭოს სალდათთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენლნი. მათი რაოდენობა შეთანხმებით ისაზღვრება. კომიტეტები იწვევენ კოოპერატივთა, პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლებს ერთიდან სამ კაცამდე. საგუბერნიო ქალაქის აღმას. კომიტეტში შედის 6 წარმომადგენელი საგუბერნიო კომიტეტისა, რომელიც შედგება სამაზრო კომიტეტთა სამ-სამ წარმომადგენლთაგან. აგრეთვე უნდა იყოს 6 წარმომადგენელი საგუბერნიო ქალაქიდან და სამ-სამი მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებისაგან.

დაბალი აღმასრულებელი კომიტეტები საადმინისტრაციო საპოლიციო მხრით მაღალ კომიტეტებს ექვემდებარებიან. გამონაკლისს შეადგენენ ტფილისისა და ბაქოს კომიტეტები, რომელნიც საგუბერნიო კომიტეტებს არ ემორჩილებიან. საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები თავის წევრთაგან, ან გარეშე პირთაგან სამის კაცისაგან შემდგარ საგუბერნიო და სამაზრო კომისარიატს ირჩევენ თანახმათ საგანგებო ინსტრუქციისა. ამ პირთა შორის ერთს თავმჯდომარეთ ირჩევენ. საქალაქო და სადაბო კომიტეტები ირჩევენ მილიციის უფროსებს და მათს თანაშემწეებს. დაბალ აღმასრულებელ კომიტეტთა კომისარებს მაღალ კომიტეტთა კომისარები ამტკიცებენ. სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტების კომისარიატს, აგრეთვე საგუბერნიო ქალაქების მილიციის უფროსებს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი ამტკიცებს. აღმასრულებელი კომიტეტები თავის მოქმედების რაიონებში განაგებენ საერობო სამეურნეო საქმეებს და კონტროლს უწევენ საადმინისტრაციო საპოლიციო საქმეებს. ყველა საკითხი ხმის უმეტესობით სწყდება. კომისარიატები, კომისარები და მათი თანაშემწენი საერობო სამეურნეო საქმეებში აღმასრულებელ კომიტეტთა ორგანოებს წარმოადგენენ, ხოლო საადმინისტრაციო-საპოლიციო საქმეებში დამოუკიდებლათ მოქმედებენ აღმასრულებელ კომიტეტთა საერთო კონტროლის ქვეშ. თავმჯდომარე, კომისარიატის წევრები და მილიციის უფროსი დათხოვნილ უნდა იქნას სამსახურიდან შესაფერ აღმასრულებელ კომიტეტის წარდგენით იმ ორგანოს მიერ, რომლისგან დამტკიცებულია ამ თანამდებობაზე. კომისარებისა და მათის თანაშემწეების სასყიდელს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისარიატი საზღვრავს. ყველა აღმასრულებელი კომიტეტი და მათი ორგანოები ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ემორჩილებიან. ამ წესით ახალ კომიტეტების არჩევნების შემდეგ ყველა დღეს არსებული კომიტეტი უქმდება.

რაც შეეხება ადგილობრივ მართველობის მოწყობას, ყველა სასოფლო საზოგადოებაში თანახმად დებულებისა არსდება სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტი, სადაც შედიან წარმომადგენელნი ამ სასოფლო საზოგადოებისა. თითოეულ ას ამომრჩეველზე არჩეულ უნდა იქმნას თითო წარმომადგენელი. იმ სოფლებს, რომელთაც 100 ზე ნაკლები მცხოვრები ჰყავთ, შეუძლიანთ შეერთდნენ. ამომრჩეველთა რიცხვის დათვლის დროს 50 ზე მეტი ამომრჩეველი თუ აღმოჩნდა, ას ამომრჩევლად ითვლება. თუ 50-ზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ სულ არ ითვლება. არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე, თუ ოცის წლისაზე ნაკლები არ არის, განურჩევლად წოდებისა, სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა თუ ამა თუ იმ სასოფლო საზოგადოებაში ერთს თვეს სცხოვრობს არჩევნებამდე. არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ: უცხოეთის ქვეშევრდომნი, ღირსებააყრილნი, ან შეზღუდულნი სისხლის სამართლის საქმის ჩადენისთვის, სასჯელდადებულნი ქურდობისათვის და სხვა ამგვარ საქმეებისთვის. არჩევა შეიძლება ყველა მოქალაქისა, განურჩევლად სქესისა, თუგინდ იმ სასოფლო საზოგადოებაში არცა სცხოვრობდეს.

სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტების საქმეს შეადგენენ: დამყარება და განმტკიცება წესიერებისა და მშვიდობიანობისა, მილიციის დაყენება სასოფლო საზოგადოების საზღვრებში, არჩევა თავის წრიდან ან გარეშე პირთაგან ერთის სასოფლო კომისარისა და მისი თანაშემწეებისა ყოველ სოფელში, ხარჯის ამკრებისა და თანამდებობის სხვა პირებისა, სასურსათო საქმე, ღონისძიებათა მიღება კანონით დადებულ გადასახადებისა და ხარჯების ასაკრებად. მამასახლისებსა და მათის თანაშემწეების თანამდებობა უქმდება და მათი მოვალეობა ეკისრება სოფლის კომისარებს და მათს თანაშემწეებს. სარაიონო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთა არჩევა იმავე საფუძველზე ხდება, როგორც სასოფლო კომიტეტისა. სამაზრო კომიტეტში შედის თითო წარმომადგენელი სასოფლო და სადაბო კომიტეტისა.

ცოტა რამ უკრაინაზე.

(საკ. კორესპ.)

ვისაც უკრაინაში უცხოვრია, ან უმოგზაურნია, დაჰკვირვებია უკრაინის ყოფა-ცხოვრებას; ერთა-შორის დამოკიდებულებას, მისთვის ერთი დასკვნა ცხადი უნდა იყოს. უკრაინა ისე როგორც სხვა რუსეთის ბიუროკრატიის რკინის ხელთათმანებში გამომწყვდეული პროვინციაა, კულტურულათ მეტათ ჩამორჩენილია, ნაციონალ-ლიბერალურ ტენდენციებს აქ ჯერ კიდევ დიდი ადგილი აქვს. თვითეულ უკრაინელ ინტელიგენტს ერთი რამ ახსოვს, ერთი რამ აგონდება: ქალაქი კიევი პირველი საძირკველი იყო რუსეთის სახელმწიფოსიო. ჯერ კიევი აღმოცენდა, შემდეგ მოსკოვი და ბოლოს კი პეტერბურგიო; ჩვენ ეს კარგად გვახსოვს და ამიტომ ჩვენს უკრაინაში ჩვენ ძველ კიევს მოვითხოვთო—ასე გვპასუხობენ უკრაინაში სტუდენტები, იგივეს გაიმეორებს თვითეული უკრაინელი.

სანამდე „კაცაპები" (ველიკოროსებს ეძახიან) დაიბადებოდენ, ჩვენ დაბადებული ვიყავითო—ბევრჯერ გამიგონია უკრაინელებიდან.

ველიკოროსები კი უკრაინელებს სამაგიეროთ „ხახოლებს" უწოდებენ და ზიზღითაც უყურებენ. „მათი ენა ხომ რუსული ენა არ არისო", მითხრა ერთხელ ერთმა სახელმწიფო მოხელე „ველიკოროსმა", ის ქარგონია, სირცხვილიცაა იმ ენაზე ლაპარაკიო, „только"-ს მაგივრად ТIЛЬКО-ს ამბობენ, ბორშჩის მაგივრად ბირშჩს, ეს რა არის თუ არა დაცინვა ნამდვილი ლიტერატურული ენისო". ეს პატარა ფაქტებიც ნათლად ამტკიცებს მას, თუ უკულტურო ერები რამდენათ სჭიროებენ პირველ-ყოვლისა თავისუფალ ეროვნულ კულტურას.

40 მილიონამდე მცხოვრებთ უკრაინაში სხვა ჯურის ერებიც საკმაოთ არსებობენ. მდგომარეობა, უმეტესათ ებრაელებისა, სახარბიელოს მაინცდამაინც არას წარმოადგენდა. ამისი დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ სააღდგომოთ უკრაინის შოვინისტებმა შავი პოგრომული ფურცლები გამოუშვეს. ისინი მოუწოდებდენ 1 და 2 აპრილს უკრაინის მხედრობას, რომ მათ მიეღოთ შესაფერი ზომები ებრაელების („ჟიდების") დასარბევათ.

„მართლ-მადიდებელო ჯარო და ხალხო, გამოდით ბოგდან ხმელნიცკის დიდ მიდორზე, იქ 1 და 2 აპრილს პარადი იქნება, 12 საათზე—მოიხადეთ ყველამ ქუდები, დაიჩოქეთ, პირჯვარი დაიწერეთ, გაუმარჯოს ქრისტიანობასო დაიძახეთ, და ვინც ყველა ამას ვერ იზამს, ის უსათუოდ „ჟიდია", დაერიეთ და ამოხოცეთო, ისინი მოღალატეები არიან, ისინი სისხლის მსმელებია" და სხვა. რასაკვირველია ადგილობრივ მუშათა და სალდათთა ორგანიზაციებმა, ყოველ გვარი ზომები მიიღეს ამის წინააღმდეგ, დაუყონებლივ გამოაქვეყნდა მოწოდებანი, რევოლიუციონური ჯარი მოუწოდებდა ყველას წესრიგისათვის, და ყოველ „პოგრომჩიკს" ხიშტებით ემუქრებოდა. რასაკვირველია ძნელია შეგნებულ ხალხს, ბნელმა ძალებმა რაიმე დიდი ზიანი მიაყენონ, შოვინისტებმა თავისი ქვენა გრძნობები ველარ გაახორციელეს, მაგრამ ეს მეტათ სამწუხარო გარემოება მით უფრო სამწუხარო და შემაძრწუნებელია, რომ ის მოხდა მშვენიერ უკრაინაში, დიდი ტარას შევჩენკოს სამშობლოში, იმ მხარეში, რომელიც ასე თავგამოდებით მოითხოვს სრულ თავისუფლებას, დემოკრატიულ რესპუბლიკას. და აი აქ არიან ელემენტები, რომელნიც სხვას კი იმავე თავისუფლებას ართმევენ, და სიკვდილით ემუქრებიან ვინ უწყის რა მოხდება მომავალში, ყველასაგან დევნილ და შევიწროებულ ებრაელების წინააღმდეგ, არა თუ მარტო უკრაინაში, არამედ სხვა ჩამორჩენილ მხარეებშიაც. მაგრამ ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია: თუ ყოველგვარ [illegible] ნაციონალისტებისა და შოვინისტების წინააღმდეგ მეტათ მკაცრი ზომები არ იქნა მიღებული, რევოლიუციის საქმე საკმაოდ დაზიანდება.

ერთად-ერთი მუშათა პარტია იყო მებრძოლი ყოველ-გვარი შავ-რაზმული გამოსვლების წინააღმდეგ. ის ყოველთვის დარაჯათ უდგა ყველა ჩაგრულ და მაშვრალთ. მხოლოდ სოციალ დემოკრატია უდგა სათავეში ყოველგვარ ერთა მორიგების საქმეს. და ამისათვის მას მსხვერპლიც მრავალი გაუღია. ვის არ ახსოვს რამდენი ამხანაგი შეეწირა 1904 წ. თათარ-სომეხთა შავრაზმულ ჟლეტას, სოც. დემოკრატიის მიერ. ამ რიგად უკრაინის დამშვიდება და მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ უკრაინის სოც. დემოკრატიის საქმეა. უკიდურეს შემთხვევაში უკრაინა ამ საერთო დღესასწაულის დროს თავის დასაკლავ დანას თვითონვე მოიმზადებს და განმათავისუფლებელ რევოლიუციის საქმეს დაასამარებს.

გამოცხადდა თუ არა რევოლიუცია, ვიგემეთ მარტის პირველი დღეები, სხვა ჩაგრულ ერებთან ერთად უკრაინელმა ერებმაც თავისუფლათ ამოისუნთქეს. მაგრამ უბედურება მხოლოდ ერთ რამეში გამოიხატა. საზოგადოთ როგორც ნაციონალისტ შოვინისტებს ჩვეულებრივ უკანა კარებიდან სიარული და მუხლებზე ხოხვა, უკრაინის ნაციონალისტებიც შეუდგნენ მას. გახშირის დეპუტატების გზავნა ახალ მთავრობასთან, სადაც დაუყონებლივ მოითხოვდენ ახალი ბურჟუაზიული და მასთან (ერთის გამოკლებით) ჯერ კიდევ იმპერიალისტური მთავრობისაგან, რომ მათ უსათუოთ ეცნოთ უკრაინა ავტონომიურ ერთეულათ და კიდევაც დაემტკიცებინათ იგი.

ჩვეულებრივათ დაავიწყდათ ანდაზა: „ასჯერ გაზომე ერთხელ გასჭერი".

პრინციპის გადაჭრა ყოველთვის ცხოვრების რეალურ პირობებს უნდა შეეწონასწოროთ. ეროვნული საკითხი მეტად რთული და მასთან ძნელი გადასაჭრელია უმეტეს იმ ერებისათვის, რომელნიც ჯერ კულტურულათ და ეკონომიურათ არ ჩამოყალიბებულან. ეროვნული პრინციპი ცალ-ცალკე ერების საქმე როდია. ის საერთო სოლიდარული მოქმედებებით სწყდება. ნაციონალური საკითხი ინტერნაციონალურათ უნდა გადიჭრას, ამიტომ ყოველგვარი სურვილი მისი სეპარატიულათ გადაჭრისთვის მარტო მშრალ სურვილათ რჩება.

ამ რთულ საკითხში რუსეთის ს. დ. მუშათა პარტია, ყოველთვის დიდ სიფრთხილეს იჩენდა. სიფრთხილეც იმდენით გამამართლებელი იყო მისთვის, რამდენათაც ეროვნული პრინციპის წამოყენება კლასობრივ პრინციპს ხელს შეუშლიდა. და ამის მაგალითი ევროპაშიაც საკმაოა. იქ სადაც პირველ რიგზე ნაციონალური საკითხი დაისვა, კლასობრივათ დაქსაქვა და ბრძოლაც მოჩლუნგდა. (ავსტრია-გერმანია) (ლასალი). და სხვა. ამიტომ ეროვნული საკითხის გადაჭრაც ტაქტიკის საქმეა და მისი სამართლიანი მოწესრიგება მხოლოდ მუშათა პარტიას შეუძლია.

გედი—დახელი.

პირველი მაისობა და მუშათა პრესის დღე ბათუმში.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ბათუმი პირველ მაისს (18 აპრ.) დარაზმული მუშათა კლასი და ჯარის კაცები დილის 9 საათიდან იყრიან თავს სამ ადგილას: ქალაქის თვითმართველობის ეზოში, აზიზიეს მეჩეთთან და თათრის მოედანზე. სამივე ადგილა ამხანაგები დროის შესაფერ სიტყვებს ამბობენ. შუადღის ორ საათზე მანიფესტაცია დროშებითა და სიმღერით მწყობრათ მიეშურება სოუქსუს სასაფლაოსკენ. აქ მარხია მტარვალთა მსხვერპლი, 14 მუშა 1902 წელს მარტის 9 დახოცილი. მუშებმა მაშინ აღთქმა დადვეს შური იძიონ და გამარჯვება ტყვიით განგმირულ ამხანაგებს მიულოცონ. და აი მივეშურებით, რათა მოვიხადოთ ვალი. სასაფლაოს მწვანით მოსილ გორაკს ამშვენებს და აფერადებს წითელი დროშების ტყე. ამხანაგთა სასაფლაოზე მიტინგს ხსნის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ანჯაფარიძე, რომელიც კითხულობს 1902 წელს გამოცემულ პროკლამაციას, რომლითაც მუშათა მაშინდელი კომიტეტი მუშებს მოუწოდებს შური იძიონ და დახოცილ ამხ. წინაშე მით ვალი მოიხადონ. მუხლ მოდრეკილი ისმენენ სამხედრო მუსიკის სამგლოვიარო ჰიმნს. სხვა ორატორებიც, სხვადასხვა პარტიები ამბობენ გრძნობიერ სიტყვებს. ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მეზღვაურთა დელეგატი მატროსი. მანიფესტანტები ჩერდებიან კარლოს შვილების სიმონიკას და სტასიკს საფლავზე და აქაც ამბობენ სიტყვებს. გადაწყდა კარ. ჩხეიძეს გაეგზავნოს შესაფერი დეპეშა. დიდებულათ დაწყებული დღესასწაული დიდებულათ თავდება 5 საათზე არ ჩანდა ბურჟუაზია და მით უკეთესი.

—

22 აპრილს მუშათა პრესის დღესაც ბათუმელი ამხანაგები შესაფერი სამზადისით შეხვდნენ. დილით გამოუშვეს საგანგებო ნომერი ქართული და რუსული (17 ათასი ცალი), რომელთაც ქალიშვილები დილიდანვე ყიდდნენ. ყულაბები ზოგმა ორჯერ გაავსო. ფიქრობენ შემოსავალი სამი ათასი მანეთი იქნება.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

ხ. ზუკიციხე. (გურია).

7 აპრილს მოხდა დამფუძნებელი კრება ადგილობრივ ს.-დ. ორგანიზაციისა დ. შარაშიძის თავმჯდომარეობით. კრებამ მიიღო საოლქო კომიტეტის მიერ შემუშავებული წესდების პროექტი, გარდა ერთი მუხლისა, რომელიც შეიცავდა წევრთა მიღებას 5 პარტიული ამხ. რეკომენდაციით. ნაცვლათ მიღებულ იქნა წინადადება, რომ ახალი წევრები მიიღებოდეს პარტიაში წევრთა უმრავლესობის მიერ, შემდეგ არჩეულ იქნა ხელმძღვანელი კოლექტივი 5 კაცისგან: ლადიკო სიხარულიძე, მიხაკო შარაშიძე, ფილიპე სიხარულიძე; ხარიტონ გურგენიძე და იაგორ შარაშიძე. სხვათა შორის დაადგინეს: მართონ სისტემატიურათ წარმოდგენები ს.-დ. პარტიისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოთ, რისთვისაც არჩეულ იქნა საგანგებო წარმოდგენების მმართველი კომისია.

კვირას 16 აპრილს მოხდა საზოგადო კრება ჩხარის კანცელარიაში ზემოაღნიშნულ პირების თანდასწრებით. კრების მიზანი იყო სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის შედგენა. კრებას დაესწრო 200-მდე კაცი. თავმჯდომარეობდა ნიკიფორე ჩხენკელი. მან წაუკითხა და აუხსნა საზოგადოებას რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამა. ხალხი ძლიერ ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა.

კარლო.

დ. ყვირილა.

კვირას, 30 აპრილს ყვირილის მუშათა საბჭოს ბინაზე დანიშნულია ყვირილის რაიონის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრთა კრება. კრებაზე დაუშვებენ იმ წევრებს, რომლებსაც ექნებათ ადგილობრივ სოც.-დემოკ. სათანადო ბარათები. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ პარტიაში და მიიღონ ბარათები.

მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭოებში.

ქუთაისის მუშათა დეპუტატების საბჭო. 20 აპრილს მუშათა საბჭოს დარბაზში მოხდა მუშათა დეპუტატების საბჭოს კრება. კრებას თავმჯდომარეობს ევგენი გეგეჭკორი. დღიური წესრიგში შემდეგი კითხვებია: მოხსენება ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტისაგან, მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისაგან, სამხედრო გარნიზონის კომიტეტისაგან, და განცხადებები, რომელიც ეხება დაჭერილ ჟაშუშებს და ყოფილ პოლიცმეისტერ მახარაძეს. ამხ. გრიშა ურატაძე, მოხსენებას აკეთებს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით. ის შემდეგს ამბობს: ქალ. აღმასრულებელ კომიტეტმა შეიმუშავა ფორმულა ქალაქის საუბნო კომიტეტის არჩევნებისა, რომლისგანაც ბოლოს უნდა შედგეს მთავარი საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი, ამ საუბნო კომიტეტებს ევალება აღასრულონ ყოველივე ის დადგენილებანი, რასაც გადაწყვეტს მთავარი აღმასრულებელი კომიტეტი. ქალაქი დაყოფილია 11 უბნათ და სამ ნაწილათ, ანუ „უჩასტკათ“. ეყოლება სამი კომისარი თანაშემწეებით და სხვა. ამ დღეებში გამოიცემა დაბეჭდილი არჩევნების წესი; არჩევნები მოხდება 30 აპრილს ფარული კენჭის ყრით. მომხსენებელი მოუწოდებს ამხანაგებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და გაიყვანონ ისეთი პირები, რომლებიც დაიცავენ დემოკრატიის ინტერესებს. მომხსენებელი განაგრძობს: მაკროვი, რომელიც თფილისშია დატუსაღებული, აღმასრულებელ კომიტეტმა მოითხოვა ქუთაისში გამოეგზავნათ, მაგრამ დღეს დეპეშა მოვიდა თფილისიდან, რომ მისი ქუთაისში გამოგზავნა შეუძლებელია. ამის გარდა მოგეხსენებათ, რომ ზუგდიდში მინგრელსკის აქვს სასახლე და დიდი მამულები. იქიდან მოვიდა ცნობა, რომ ხსენებულ თავადის მამულებს გლეხები იტაცებენო, საქმის გამოსარკვევათ გაგზავნილი იქნა თითო კაცი, აღმასრულებელ კომიტეტისგან, მუშათა და სალდათა დეპუტატთა საბჭოდან. ეს ამბავი კავკასიის კომისარიატსაც გაუგია, და ხსენებული მამულის მეთვალყურეობა ჩაბარა ამხ. ევგენი გეგეჭკორს, აღმასრულებელმა კომიტმა მეთვალყურეთ მიუმატა გრ. გველესიანი და ტისენკო. შემდეგ იგივე მომხსენებელი მუშათა საბჭოს აღ. კომიტეტისაგან მოხსენებას აკეთებს. მომხსენებელი ამბობს, რომ ყოველივე ის დადგენილებანი, რომელიც წარსულმა კრებამ მიიღო, ყველა სისრულეშია მოყვანილი. მომხსენებელი ამბობს: აქ არსებობს ომში დასახიჩრებულთა დამხმარე საზოგადოება, და ჩვენ გვთხოვენ იმ საზოგადოებაში გვყავდეს წარმომადგენელი. კრება ირჩევს წარმომადგენლათ ვ. ადამიას.

ვაჭრების განცხადება, რომელიც ეხებოდა საქონლის აღწერილობას გადაეცა სასურსათო კომისიას.

ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მოსამსახურენი, მოითხოვენ ფოსტის მეორე განყოფილების დაარსებას, ვინაიდან მუშაობა იმდენი არის, რომ ჩვენ ვერ ვუდგვართ და დღე და ღამე გვიხდება მუშაობა. კრებამ მიიღო ხსენებულ პირთა განცხადება და გადასცა აღმასრულებელ კომიტეტს. მომხსენებელი აცნობს კრებას, რომ ადგილობრივ ახალგაზრდა ებრაელებმა დაარსეს დემოკრატიული კლუბი, რომლებმაც დაგვავალეს გადმოგვეცა თქვენთვის ეს ცნობა. შემდეგ იგივე მომხსენებელი ამბობს: როგორც იცით საერთო გადაწყვეტილება იყო, რომ მილიციაში არ მიეღოთ სასალდათოები და დეზერტირები. ზოგიერთ პროვინციიდან შემოვიდა თხოვნები, რომ თუ მილიციაში ისეთი პირები არ მივიღეთ, იმ შემთხვევაში ჩვენ უმილიციოთ დავრჩებითო. ეს თხოვნები განიხილა სალდათთა საბჭომ და დაადგინა შემდეგი: არას შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული ისეთი პირები მილიციაში, რომლებსაც უწევდათ სალდათობა და არ გამოცხადდებულან. თუ ხალხი არ არის სამილიციოთ, იმ შემთხვევაში ჩვენ ჯარიდან მივცემთ ისეთ პირებს, რომლებიც რამოდენიმეჯერ დაჭრილები არიან, და პოზიციაზე წასვლა არ შეუძლიათო. მომხსენებელი ამბობს, რომ ჩვენდა სასიხარულოთ კრებამ მიიღო ისეთი დადგენილება, რაც ჩვენთვის მეტათ სასიხარულოა. მაგალითად ომის საკითხში უერთდება პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპ. საბჭოს დადგენილებას. დამფუძნებელ კრების შესახებ კრება ადგენს: მიეცეს წინადადება დროებით მთავრობას, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს მოწვეული დამფუძნებელი კრება. აგრეთვე ხსენებულმა კრებამ დაადგინა ყველა ოფიცრებს ჩამოერთვას „დენშჩიკები“. ბოლოს კრებამ აირჩია თავისთ შორის სამი წარმომადგენელი, რომელნიც უნდა დაესწრონ სიეზდზე თფილისში. მუშათა საბჭომ დანიშნა შემდეგი პირები: ე. გეგეჭკორი, ივ. გობეჩია და გ. ურატაძე, ასე დასრულდა საერთო მოხსენება, შემდეგ კამათს იწვევს დამფუძნებელი კრებისათვის დროის დანიშვნა.

თავისუფლების სესხის შესახებ მოხსენებას აკეთებს კრების თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი და მოუწოდებს კრებას დახმარება აღმოუჩინოს დროებით მთავრობას. კრება ირჩევს ერთგვარ კომისიას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ამ საქმეს.

კომისიაში შედის შემდეგი პირები. ე. გეგეჭკორი, ს. კილაძე, კ. დათეშიძე, ბ. შარაშიძე, ა. ხვიჩია და ვ. სხირტლაძე. დეზერტირების შესახებ კრებამ მიიღო, რომ დაუყონებლივ უნდა გამოცხადდნენ სადაც ჯერ არს.

პროფესიონალურ კავშირების კრებისათვის ამხ. გრიშა ურატაძემ კრებას წარუდგინა კავშირის წესდების პროექტი, რაც მოწონებული იქნა და მიღებულიც. კამათი გამოიწვია ზოგიერთების განცხადებამ—პროფესიონალური კავშირში მონაწილეობა მიიღოს წვრილმა მწარმოებლებმაო. კრებამ ეს მოსაზრება უარყო.

კრება ადგენს ხშირ ხშირათ აგზავნოს თავის წარმომადგენელი საქმეების მოსაწყობათ ტყიბულაში.

უკანასკნელათ კრება ეხება ჟაშუშების და პრისტავების განცხადებას—მიქიაშვილის, ობოლაძის, მასხარაშვილის და აგრეთვე ყოფილ პოლიცმეისტერ მახარაძის. მახარაძე ადგენს ავათმყოფობის მოწმობას და თხოულობს თავდების ქვეშ იქნას განთავისუფლებული.

კრება ადგენს: ვინაიდან ხსენებული პირები არა საიმედონი არიან თავისუფლებისთვის, ამიტომ დამფუძნებელ კრებამდის იქნან დატყვევებულნი.

კრება დაიშალა ღამის 1 საათზე.

ი. ხადემეტროველი.

—

ჭიათურის მ. დ. საბჭოში. 15 აპრილს მოხდა ჭიათურის მუშათა დ. საბჭოს კრება, სადაც გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილებები:

1. გაეგზავნოს ჭიათურის რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტს შორაპანში შემდეგი: აუცილებელ საჭიროებათ ვცნობთ ადგილობრივი სადგურის (რკინის გზის) მოსამსახურეების რეორგანიზაციას იმ მხრით, რომ ზოგი მოსამსახურეები გადაყვანილი იქნენ აქედან რკინის გზის საქმეებში დეზორგანიზაციის შეტანის და ხაზინის ზარალის თავიდან ასაცილებლათ. ამისათვის გთხოვთ მიიღოთ ზომები ამის გამოსარკვევათ, რაშიდაც ჭ. მ. დ. საბჭო სრულ დახმარებას გაუწევს თქვენ ან რკინის გზის მთავარ კომიტეტის მიერ გამოგზავნილ კომისიას. კერძოთ მიგითითებთ ნ. თაქთაქიშვილზე და გ. ლანჩავაზე, რომელთა გადაყენებას მოითხოვენ შავი ქვის მუშებიც; უფროსებზე, რომელნიც ახალ წეს-წყობილებას ცუდი მხრივ იხსენიებენ, ძველ დარაჯებზე, რომელთა აქ ყოფნა თვალში ეჩხირება საზოგადოებას და სხვ.

2. საბჭომ დაადგინა: კვირაში ერთჯერ მოხდეს საბჭოს კრება პარასკეობით, საღამოს 6 საათზე და თხოვს წევრებს დანიშნულ დროზე გამოცხადდნენ.

3. საბჭომ დაადგინა: მიეცეს წინადადება ჭიათურის და საჩხერის აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა დროებით შეაჩეროს სალდათობისაგან განთავისუფლება მილიციონრებათ მიღებულ პირთა.

4. საბჭომ შემდეგი დადგენილება გაუგზავნა შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს.

თანახმათ ყველა დარგის მუშების საქარხნო კომისიების შეერთებული კრების დადგენილებისა (რაც მათ მოთხოვნილებათა ერთ მუხლში შეიტანეს და ამ დღეებში წარუდგინეს ხაზეინებს) მ. დ. საბჭომ თავის კრებაზე დაადგინა: „მოეთხოვოს მრეწველთა საბჭოს დაუყონებლივ დათხოვნილი იქნან დაშავებული მუშათა საქმეების მწარმოებელი (აგენტი). და სასწორების კონტროლიორები. და პირველ მაისიდანვე ამ ადგილზე მიღებული იქნან მუშათა მიერ წამოყენებული კანდიდატები“.

5. აცნობა რა მ. დ. საბჭომ აღნიშნული დადგენილება მრეწველთა საბჭოს, მიიღო შემდეგი პასუხი: მუშათა დეპუტატების მოთხოვნა იმ სახით, როგორც ის არის წარმოდგენილი, შეუწყნარებელია“.

იგი აძლევს მ. დ. საბჭოს წინადადებას, ხსენებულ ადგილზე წარმოადგინოს დასამტკიცებლათ მუშების მხრით ერთი კანდიდატი, რომელიც იმუშავებს იმ პირებთან ერთად, რომელნიც აღნიშნულ თანამდებობაზე მოწვეულნი არიან მრეწველთა საბჭოს მიერ.

6. მრეწველთა საბჭოს ასეთ პასუხზე მ. დ. საბჭომ დაადგინა.

„მუშათა ინტერესები აუცილებლათ მოითხოვს არა მაყურებელ-კონტროლიორის ყოლას დაშავებულ მუშათა საქმის აგენტურაში, არამედ საჭიროა მათგან ნდობით აღჭურვილი კაცი, გამგე მწარმოებელი იყოს ამ საქმისა. მ. დ. საბჭო საჭიროთ არა ცნობს ერთ ადგილზე ორი კაცის დაყენებას და ზედმეტი ჯამაგირის ხარჯვას, ვისი კასიდანაც არ უნდა იხარჯებოდეს ეს, მაგრამ თუ მრეწველთა საბჭო მაინც მოისურვებს მუშათაგან წაყენებულ მართველთან ერთათ იქ თავის მეთვალყურის ყოლას, დაე იყოლიოს, ხოლო არა ყოფილი აგენტი კ. წერეთელი: ამ პიროვნებას მუშები ვერც კონტროლიორმეთვალყურეთ შეურიგდებიან.

ი.

ნავთლუღის განმანაწილებელი პუნქტის სანიტართა რაზმის გარშემო.

ამ რაზმში იმყოფება სულ 52 სანიტარი. ამათში სისტემატიურათ ავათ *) არის ყოველ დღე ხან 8 და ხან 10. ასე რომ მუშა ხელი არ აღემატება 40 კაცს. ეს 52 სანიტარი არის ორ „ატრიადათ“ გაყოფილი და 26 კაცი მუშაობს ერთ დღეს და მეორე 26 მეორე დღეს, დაწყებული დილის 8 საათიდან ღამის 10 საათამდე და უფრო ხშირათ ღამის 1 ლ და 2 საათამდე. თუ საჭიროება მოითხოვს იმ შემთხვევაში მეორე დილის 8 საათამდინაც უნდა ვიქნეთ ჩვენ საქმეზე. თუ იქნა ავათმყოფები მატარებლიდან მისაღები, ვღებულობთ და ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას პირნათლათ, შეძლებისდა გვარათ.

მაგრამ სანიტართა რიცხვი ძლიერ ცოტა არის და უნდა მოემატოს. აბა თვითონ ექიმებმა სთქვან საკმარისი არის 40-50 სანიტარი ნავთლუღის განმანაწილებელი პუნქტში ? სადაც ადგილობრივათ არის 3,000 საწოლამდე და სადაც თვიურათ ვღებულობთ 19000 ავადმყოფს. ამათგან ამ ბოლო ხანებში უმრავლესობა საკაცით საზიდავია. თვიურათ ამდენი ავათმყოფის მიღება, შემდეგ ქალაქში გადაყვანა, და ქალაქიდან კიდევ ავათმყოფების მოყვანა. ამ ციფრებიდან ადვილათ დაინახავს მკითხველი, თუ რა დღე ადგიათ ფიზიკური შრომის მხრით ნავთლუღის განმანაწილებელი პუნქტის სანიტრებს. ნავთლუღის განმანაწილებელი პუნქტის სანიტართა მცირე რიცხოვან რაზმს უფლება ჰქონდა მეტი ეთქვა საზოგადოებისთვის თავისი გაჭირვების შესახებ, მაგრამ ის ანგარიშს უწევს ავათმყოფ ჯარის კაცებს და განსაკუთრებით სახელმწიფო თავდაცვის საქმეს. ჩვენ ჩვენს თავს არ მივცემთ უფლებას გადავდგათ ისეთი ნაბიჯი, რაიც არ შეეფერება მოწინავე მუშებს. პირიქით, ვცდილობთ მუშაობის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ და მწყობრი მუშაობის მიმდინარეობით ხელი შევუწყოთ როგორც დაავათმყოფებული ჯარის მორჩენას აგრეთვე რევოლუციის დაგვირგვინებას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

ნ. ჯიხაიშელი.

---

*) სანიტარი და საზოგადოთ მოსამსახურე ავათ რომ ხდება ადმინისტრაცია მის ალაგზე კაცს უნდა იძლეოდეს, მაგრამ აქაური ადმინისტრაცია ამას არ შვრება.

გაზეთის სასარგებლოთ.

ჯ. კ. დ. კოპლატაძისაგან 1 მან.

—

ლანჩხუთიდან ლ. პ—იასაგან მოწაფეებში შეგროვილი 8 მ. 20 კ.

—

ჯ. კ. მათე გოგვაძისაგან 6 მან.

—

ქ. ბათუმიდან ერ. რუხაძისაგან მივიღეთ რკინის გზის ზედამხედველ ზდანიევის მუშებში შეგროვილი 38 მან. 40 კ., აქედან 8 მან. 40 კ. ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ, 15 მ. პოლიტიკურ დამნაშავეებისათვის და 15 მ. გაზეთ „ერთობისათვის“.

—

აკ. ნაკაიძემ გამოგვიგზავნა 286 პერმის დრუჟინის ქართველ ჯარისკაცებში შეგროვილი „ერთობის“ ფონდისთვის 25 მ., ქ. შ. წ. კითხვის გამგ. საზოგადოების სასარგებლოთ 12 მ. 35 კ.

—

ს. ამაღლება. ლუკა ქუთნიამ გამოგზავნა 26 მ. 45 კ. გაზეთ „ერთობის“ და „სოციალ-დემოკრატის“ ფონდის გასაძლიერებლათ. აქედან 10 მ. გადაუგზავნეთ გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“ ქუთაისში.

—

ბათუმის რკინის გზის რემონტის მუშებისაგან შალვა ხალვაშის ხელით მივიღეთ 45 მ. 25 კ. ამ ფულიდან 14 მან. პოლიტიკურებს, 21 მ. ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ და 10 მ. 25 კ. „ერთობის“ ფონდს.

—

ჯ. კ. ჯამლეთ გუგუნავასაგან 1 მ.

—

სოფ. ქვედა ბახვიდან ალ. შავიშვილმა გამოგზავნა 17 მ. აქედან 7 მ. „ერთობას“, 5 მ. 80 კ. პოლიტიკურების ფონდს, 4 მან. 20 კ. ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ.

—

651 პოლსკი დრუჟინის ჯარისკაცების მონდობილობით ვ. ბაკურაძისაგან მივიღეთ 26 მ. „ერთობის“ ფონდისათვის.

—

მაქს. ლესელიძისაგან მოგვივიდა 6 მ 15 კ. მე-5 თურქესტანის პოლკის დივიზიის ობოზის ჯარისკაცებში შეგროვილი.

—

სოხუმი. კლასიონ მგელაძემ გამოგზავნა თანამოაზრეთა შორის შეგროვილი 45 მანეთი გაზ. „ერთობის“ სასარგებლოდ.

—

ალექსანდრეპოლი. თადეოზ მუმლაძემ მოგვაწოდა ამხანაგებში შეგროვილი 7 მან. 50 კაპ. „ერთობის“ ფონდისთვის.

—

ბათუმი. „განათლების“ წლიურმა კრებამ 40 მან. გადასდო გაზეთ „ერთობისა“ და 20 მან. გაზეთ „პაიქარი“-ს სასარგებლოთ. მათის მონდობილობით ფული მივიღეთ ს. ჟუჟუნაძისაგან.

—

ერზერუმი. გიგზავნით „ერთობის“ ფონდის სასარგებლოდ 13 მ. 50 კ. ამხანაგ ჯარისკაცებში შეგროვილს.

ვარლამ კუნჯულია.

—

247 დრუჟინის 1 როტის ქართველი ჯარის კაცები გიგზავნით ჩვენ მიერ შეგროვილ მცირე წვლილს გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის 5 მანეთს და 4 მ. 50 კ. პეტროგრადში დახოცილ გმირების ოჯახების სასარგებლოთ.

ამხ. მონდობილობით **გალაქტიონ მაღლაკელიძე და ნესტორ ივ. კუხალეიშვილი.**

—

„კომეტის“ ქარხნის მუშებისაგან 22 აპრილის აღსანიშნავათ 50 მან. 70 კაპ.

—

ვარლამ კუტუპიძისაგან—1 მ. 90 კ.

—

სასტუმრო „ოლიმპიის“ მუშებისაგან 22 აპრილის აღსანიშნავათ 11 მან. და 25 კაპ.

—

გრიშა წიტაიშვილისაგან ტრამვაის მუშებში შეგროვილი 14 მანეთი, აქედან 7 მანეთი „პაიქარს“ უნდა გადაეცეს.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბახვის ბიბლიოთეკა სამკითხველოს მოუგროვეს აქვსენტი მახარაძემ 41 მ. 80 კ., თედორე თომას ძე დოლიძემ 41 მან., ალექსანდრე მახარაძემ 11 მ. 50 კ., მღვდ. პავლე მეგრელიძემ თავისი გადმოგვცა სამკითხველოსათვის 10 მ., ადგილობრივ დროებითი მთავრობას სარევოლიუციო საქმისათვის ნოე სოფრომის ძე მგელაძემ გადასცა 30 მ., ხოლო ყასარ ბოლქვაძემ კი 5 მ., ბახვის 2 კლასიან სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა ფონდისთვის ხარიტონ ჭელიძემ გადმოგვცა 10 მანეთი. ზემოთ აღნიშნულ პატივცემულ პირთ უცხადებთ დიდ მადლობას.

მონდობილობით **მარ. რამიშვილი.**

—

„ერთობის“ № 30 მოთავსებულია ხარფუხელის წერილი ადელხანოვის მუშათა კოოპერატივზე, ვინაიდან ამ წერილში მე ულირსათ ვარ მოხსენებული, საჭიროთ ვცნობ ავტორი გამოვიწვიო სამედიატორო სასამართლოში, გამტყუნებულმა მხარემ „ერთობისა“ და ფაიქარის“ სასარგებლოთ გადაიხადოს 20 მანეთი. მედიატორეთა ვინაობა პირადათ შევატყობინოთ ერთმანეთს.

ბასილაშვილი (საწყალუა).

—

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი: ბ.ბ. ვარლამ თალაკვაძემ და რუბენ მელუამ შემოსწირეს ასკანის სამკითხველოს ხუთ-ხუთი მანეთი, ხოლო თოთხმეტი მანეთი ასკანაში მომავალ სასწავლებლის დასაარსებელ ფონდისათვის, პირველმა თავისი დედის, ხოლო მეორემ სიდედრის, აწ გარდაცვალებულის, ალათი თალაკვაძის ხსოვნის აღსანიშნავათ.

მღვდელი ერმ. ჯაველიძე.

—

უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ პატივცემული თქვენი გაზეთი „ერთობის“ საშვალებით მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ სიმონ ივანეს ძე შუბლაძეს, რომელმაც შემოქმედის სამკითხველოს შემოსწირა ქართული წიგნაკები ღირებული 9 მან. და ფულათ 5 მ.

შემოქმედის სამკითხველოს გამგეობა.

—

სარაყამიშის რკინის გზის კომიტეტი, აქაურ მუშა მოსამსახურეთა სახელით მადლობას უძღვნის სარაყამიშის სადგურის მებუფეტე და გაზეთების კიოსკის პატრონს ბ-ნ ალექსანდრე ყანჩაველს და ვასილ დაუშვილს, რომლებმაც შეპირდნენ რკინის გზის სამკითხველოს მიაწოდონ ყოველ დღიური გაზეთები ყველა ენაზე.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯ. კ. გიგო ლევანის ძე ჩხაიძე მსახურებდა კავკასიის მსროლელთა მე-13 პოლკში, მე-12 როტაში. რვა თვეა რაც მის შესახებ არაფერი იცის მისმა ცოლშვილმა. ამიტომ გთხოვთ ვინც რაიმე იცის მის შესახებ კეთილ ინებოს და გვაცნობოს შემდეგ ადრესზე: ქუთაისი, პუშკინის ქ. კარპეზ გოგაშვილს.

— ჯ. კ გრიგოლ ლომია იწვა ჯულფაში 366 გოსპიტალში სახადით ავათმყოფი, როგორც გვეგება გადაუყვანიათ ლადიკავკაზში. მინდა გავიგო მისი ბოლო და თუ ცოცხალია დღესაც. გთხოვ ვისაც შეუძლია დახმარების აღმოჩენა, მომმართოს ამ ადრესით: ალექსანდროპოლი, 5 კავკ. სათად. ინჟ. სკლადი ნესტორ სიხარულიძეს.

— ჯარის კაცი კირილე პავლეს ძე ჭეჟია მსახურებდა კავკ. მომქმედ ჯარში. 1915 წ. ნოემბრის მერმე არაფერი ვიცით მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ რაიმე შემდეგის მისამართით: დ. ანაკლია, ზუგდიდის მაზ., ბაგრატ ჭხალაიას.

რედ.-გამომცემელი **ვლ. მ. ბოჩოხაძე.**

პირველ მაისს გამოვა ახალი ქართული პოლიტიკო და სალიტერატურო სოციალ დემოკრატიული გაზეთი

ალიონი

პ. დ. საყვარელიძის რედაქტორობით.

მონაწილეობას მიიღებენ: ს. აბაშელი, ვ. ბურჯანაძე, დ. თურდოსპირელი, დ. ლიხელი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაძელი, ილ. რუხაძე, ნ. საქარელი, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, კ. ქავთარაძე, პ. ქავთარაძე, ნ. ქარცივაძე, გ. ქუჩიშვილი, შ. შარაშიძე (თაგუნა), ქრ. შარაშიძისა, ნ. ჩხიკვაძე, ს. ჭანტურიშვილი, ი. ჯაფარიძე, ი. ხელაძე და სხვ.

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 5 მ. და 50 კ., ერთი თვით 1 მ., ცალკე ნომერი 10 კ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства, Контора Груз. Благотв. Об-ва Лавреатію Санадзе.

რედაქცია დროებით იმყოფება ქართ. საქვ. საზოგ. სადგომში. (სასახლის ქ. № 5) და ღია არის საღ. 6—8 საათამდე.